საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 დეკემბერი, 2015 წელი.

№234 (7879)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

ტყუილი და სიმართლე

ხელისუფლებაში ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით მობრუნების სურვილით ატაცებულ-შეპყრობილი გნაცმოძრაობის „პანდორას ყუთი“ — „(ც)რუსთავი-2“ ყოველდღე, თანაც დღეში რამდენჯერმე, გადასცემს რეკლამას, რომლის შინაარსიც, დავით ბაქრაძის ბაგეთაგან გახმიანებული, ასეთია:

„ჩვენ, ნაციონალურ მოძრაობას, გვაძვს კონკრეტული გეგმა. იმ მილიონებით, რომელიც ჩინოვნიკების გაზრდილ პრემიებს, დანამატებსა და ხელფასებს ხმარდება, შესაძლებელია ყველა პენსიონერისთვის პენსიის გაზრდა 50 ლარით. საქართველოს შეუძლია ეს!

დავით ბაქრაძის ეს კატეგორიული ტონით თქმული „უობიექტურესი ჭეშმარიტება“, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, წმინდა წყლის მიზანმიმართული ტყუილი რომ გახლავთ და სიმართლეს იოტისოდენადაც არ შეესაბამება, ამის დასამტკიცებლად ვბეჭდავთ ამონარიდს ჩვენი გაზეთის 10 დეკემბრის ნომრის პუბლიკაციიდან — **„პენსიონერებისადმი ნაციონალების „სიყვარულის ბუშტის გასკდომა“ ადვილად ასახსნელია“...,** რომლის ავტორიც გახლავთ ეკონომიკის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **იოსებ არჩვაძე.**

ოპოზიციის საუბარი ყბადაღებულ პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე, რომლებიც იწირავენ პენსიების მატების შესაძლებლობებს, აშკარად ჰიპერტროფული და სპეკულაციურია.

მთავრობის მეთაურმა, მინისტრებმა, მათმა „პირველმა“ თუ „რიგითმა“ მოადგილეებმა უარი რომ თქვან არათუ პრემიებზე და ყბადაღებულ დანამატებზე, არამედ ხელფასებზეც, ანუ ყველა მათგანმა აბსოლუტურად უსასყიდლოდ რომ იმუშაოს და დაზოგილი თანხა გადასროლილ იქნას „საპენსიო უზრუნველყოფის ფრონტზე“, ეს პენსიონერის ერთი თვის პენსიას მხოლოდ 60 თეთრით თუ გაზრდიდა...

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქვეყნის პროგრესის სამსახურში

მიმდინარე წლის ბოლოს გამოიცემა მნიშვნელოვანი კაპიტალური ნაშრომი — „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“. ეს იქნება ქართულ ენაზე პირველად წარმოდგენილი ორტომეული, რომელშიც სრულად იქნება ასახული ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსები: მიწა, წყალი (ზედაპირული და მიწისქვეშა), ტყე, სასარგებლო წიაღისეული (შავი, ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი მეტალების შემცველი მადნები; არამეტალური ნედლეული - სამთოქიმიური, სამთამადნო და სამშენებლო მასალები; ნავთობი; ნახშირი; ტორფი; მინერალური წყლები), სათბობ-ენერგეტიკული ტრადიციული (ჰიდრო და ნახშირის), არატრადიციული (მზის, ქარის, თერმული წყლები), სამკურნალო (საკურორტო) - რეკრეაციული, ტურისტული. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანური რესურსების კვლევასა და ეკოლოგიურ საკითხებს. მთავარი რედაქტორი აკად. ირაკლი ჟორდანია.

იხ. 4 გვ.

ფარშევანგები გერმანიაში



ზოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე მხატვარ **ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკის** წარდგენის გამო

6

აურზაური 380 წლის ბოტანიკური ბაღის გამო

...რატომ კარგი აგიგია,

ანუ ზღაპარი, რომელიც ცუდად დამთავრდა

9

6 თვე - 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი რედაქციაშივე შეღავათიანად

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

◎ დედაქალაქი – გაისად!

თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი

10 დეკემბერს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის 2016 წლის ბიჯეტის დაზუსტებული პროექტი შევიდა საკრებულოში. დაზუსტებულ პროექტში თბილისის საკრებულოს რეკომენდაციები, უმრავლესობასთან კონსულტაციების შედეგად, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია.

თბილისის 2016 წლის ბიუჯეტი **815 მლნ. 900 ათასი ლარით** განისაზღვრა, რაც 2015 წლის თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 735 მლნ. 700 ათას ლარს, გაზრდილია **80 მლნ. 200 ათასი ლარით.**

2016 წლის ბიუჯეტის პროექტში კვლავ პრიორიტეტებად რჩება ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გამწვანების ღონისძიებები:

ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 2016 წელს განსაზღვრულია 271 მლნ. ლარი, რაც 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (210 მლნ.) 61 მლნ. ლარით მეტია.

ამასთან, 13 ნოემბერს საკრებულოში წარდგენილი ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან შედარებით, გაიზარდა ისეთი პროექტების დაფინანსება, როგორიცაა **გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში – 2 მლნ. 600 ათასი ლარით;**

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 3 მლნ ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში – 4 მლნ ლარით.

ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გამოყოფილია 214 მლნ. 300 ათასი ლარი, რაც 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (205 მლნ.) 9 მლნ. 300 ათასი ლარით მეტია.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტში გარდა არსებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებისა, **გათვალისწინებულია ახალი პროგრამების დაფინანსებაც:**

3 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა ჰერცეპტინის პროგრამის დაფინანსება, რაც ადრეული ძუძუს კიბოს დადებითი (I-III) სტადიის მქონე პირებისათვის პრეპარატი ჰერცეპტინით უზრუნველყოფას გულისხმობს; **300 000 ლარით დაფინანსდება ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომსახურების მიწოდება; 500 000 ლარია გამოყოფილი ახალი პროგრამისთვის, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ორთოპედიული პათოლოგიების სკრინინგსა და აღდგენით თერაპიას მოიცავს.**

ასევე გაზრდილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსებაც, გასულ წელთან შედარებით ზრდამ 3 მლნ. 400 ათასი ლარი შეადგინა.

განათლებაზე გამოყოფილია 95,1 მლნ. ლარი, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე (92 მლნ. 633 ათასი) **2 მლნ. 500 ათასი ლარით მეტია.**

აღსანიშნავია, რომ **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა გაიზარდა 106 800 ლარით,** პროგრამას დაემატება ქალაქ თბილისის მერიის ხელოვნების სკოლებში იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეთა უფასო სწავლება.

გამწვანების ღონისძიებებისთვის 2016 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით, 2 მლნ ლარით მეტია განსაზღვრული, რაც ვერეს ხეობაში და პარკი „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართება.

ამასთან, **2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამას, გარდა ტრანსფერებით მისაღები 5,3 მლნ ლარისა, დაემატა 1 მლნ ლარი და 6 მლნ. 300 ათასი ლარით განისაზღვრა.**

რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, **2016 წლის ბიუჯეტის პროექტის დაზუსტებული ვარიანტის მიხედვით, 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მერიის ადმინისტრაციის, საქალაქო სამსახურების და გამგეობების შრომის ანაზღაურების ფონდის მოცულობა შემცირებულია 1 მლნ. 500 ათასი ლარით, სამივლინებო ხარჯები - 230 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები – 368 ათასი ლარით, ხოლო ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები 449 ათასი ლარით ნაკლებია.**

2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი და მსხვილი პროექტების განხორციელება, როგორიცაა:

ხიდების და გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია – 17 მლნ. 800 ათასი ლარი, მათ შორის, პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენითი სამუშაოები და კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მოწყობა;

10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა – 7 მლნ. 800 ათასი ლარი;

ქალაქის განვითარების პროგრამის ფარგლებში – 42 მლნ ლარი, მათ შორის, გათვალისწინებულია მარჯანიშვილის მეტროდან ზაარბრიუკენის მოედნამდე ტერიტორიის განვითრება და შენობების რეაბილიტაცია – 19 მლნ ლარი; გუდიაშვილის მოედნის მიმდებარედ კონსერვაციის გეგმის ფარგლებში, აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება – 7 მლნ. 700 ათასი ლარი;

7 მეტროს სადგურის – ვაგზლის მოედანი – 1, მარჯანიშვილი, რუსთაველი, თავისუფლების მოედანი, ავლაბარი, ვარკეთილი და ახმეტელის თეატრი კაპიტალური რეაბილიტაცია – 7 მლნ ლარი;

ახალი რაგბის მოედნის მშენებლობა – 6,0 მლნ ლარი, რომელიც რაგბისტების ახალი თაობების აღზრდას მოემსახურება და უმასპინძლებს 2017 წლის რაგბის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს;

ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა – 3 მლნ ლარი;

ვაკის პარკისა და კუსტბის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მოწყობა – 1 მლნ. 100 ათასი ლარი;

გარდა ამისა, ქალაქისათვის ორი უმნიშვნელოვანესი სფეროსათვის განხორციელდება თანხების მოძიება დონორი და საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2016 წლის განმავლობაში **დაგეგმილია საქალაქო ავტობუსების პარკის განახლება 150 ერთეულით. ასევე, დაგეგმილია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი პოლიგონის პირველი და მეორე უჯრედის დახურვისა და გაზშემკრები მილების მშენებლობისათვის 9 მლნ. 600 ათასი ლარისა და ახალი მე-3 უჯრედის მშენებლობისათვის 13 მლნ. 400 ათასი ლარის მოზიდვა.**

ამასთან, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მუნიციპალური ავტობუსების პარკის მშენებლობისთვის დამატებითი თანხების მოძიებასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც საჭიროა 19 მლნ ლარი.

◎ ინფორმაცია

მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა პენსია 216 ლარი იქნება

მომავალი წლის პირველი სექტემბრიდან, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის პენსია 216 ლარი იქნება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

„ეს არის 180 ლარამდე გაზრდილი პენსია და კიდევ ერთ საინტერესო ციფრს გეტყვით. მომავალი წლის პირველი სექტემბრიდან მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის 216 ლარი იქნება. ეს მაღალმთიანი კანონიდან გამომდინარეა. ჩვენ ზრუნვას ვაგრძელებთ, რომ ეკონომიკა ვითარდებოს. თითქმის, მილიარდი ინფრასტრუქტურაზე დაიხარჯება და განათლების სამინისტროს ხარჯები პირველად მილიარდს მიუახლოვდა“, – განაცხადა ხადურმა.

დახმარებისთვის რენატე ვინტერი დაასაჩუქრეს

საქართველოს მთავარ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელმძღვანელთან რენატე ვინტერთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და მისი მოადგილეები ესწრებოდნენ. მთავარმა პროკურორმა მოსამართლე რენატე ვინტერს პროკურატურაში ევროპული სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისთვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელი და საჩუქარი გადასცა. შეხვედრას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ის პროკურორებიც ესწრებოდნენ, რომელთა გადამზადებაც პროექტის აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა.

სამწლიანი თანამშრომლობის შედეგად პროკურატურაში დაკავებისა და პატიმრობის გამოყენების ევროპული სტანდარტები დაინერგა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საპროკურორო საქმიანობის ხარისხი და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი.

საქართველოს პროკურატურა მადლობას უხდის პროექტს, მის ხელმძღვანელს და თითოეულ მონაწილეს უწყების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომი თანამშრომლობისთვის.

IDFI-მ ყველაზე გაუმჭვირვალე სამინისტროდ ეკონომიკის უწყება დაასახელა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიშის თანახმად, 2015 წლის ყველაზე გაუმჭვირვალე უწყება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გახდა.

შესაბამისი განცხადება თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ კვლევის პრეზენტაციის დაწყებამდე ორგანიზაციის თანადამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა გააკეთა.

„მიმდინარე წელს ვითარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გაუმჯობესდა. სასჯელაღსრულების უწყებამ წელს სრულად მოგვცა ინფორმაცია, რომელიც ძირითადად, დეპარტამენტებს ეხებოდა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ის შარშან ყველაზე გაუმჭვირვალე საჯარო დაწესებულებად დასახელდა, მაგრამ წელს ვითარება გაუმჯობესდა. უზენაეს სასამართლოში სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების პრემიებსა და დანამატებთან დაკავშირებით დავა გვაქვს, მაგრამ სხვა ინფორმაციას ვერ ვიღებთ. გაუარესება საგრძნობია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომელიც ყველაზე გაუმჭვირვალე დაწესებულებად დასახელდა. გაუარესება არის იუსტიციის სამინისტროსა და მთავრობის ადმინისტრაციაშიც, რომელიც შარშან დაჯილდოვდა, როგორც ყველაზე გამჭვირვალე უწყება. სამწუხაროდ, ადმინისტრაციას ამ თვალსაზრისით პრობლემები აქვს“, – განაცხადა გიორგი კლდიაშვილმა.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მაია ორჯონიკიძე მეგი გოცირიძით ჩანაცვლდა, ვინ იქნება ნათია მეგრელიშვილის კასკადიორი?

● საერთოდ არ მიყვარს ასეთ მძიმე თემებზე აქ მოთქმა-გოდება, სხვების დამძიმება და ა.შ, მაგრამ წეღან „სარკეში“ წავიკითხე სტატია გარდაცვლილი 8 წლის ბუკა ნიკურაძეზე და დანგრეული ვარ, ცრემლებმა დამახრჩო!!! არასწორად დასმული დიაგნოზი, შესაბამისად არასწორი მკურნალობა და ამის შედეგად ბავშვს თავში გაუჩნდა სოკო, რომელმაც იმსხვერპლა... დადნა ბავშვი ზეზეულად! იაშვილის კლინიკის ექიმმა- ჰემატოლოგმა ვინმე ასმათ შენგელაიამ არასწორი დიაგნოზი დასვა , ბუკას დედისთვის მიუხლია შენ შვილს ლეიკემია აქვს (თან უკითხავს, მარტო რატომ მოხვედით, უპატრონო ხარო?!) ამის მისაჩქმალად უკვე როცა გაიგო ბავშვს სოკო ჰქონდა თავში მოდებული, დედას დაუმალა და უტიფრად მიახალა – გილოცავთ, რასაც ვფიქრობდით, გამოირიცხაო! დედა წერს, ლოყა მქონდა მიდებული ბუკას ლოყაზე, დორბლი სდიოდა, ისე კვნესოდა ტკივილით, თვალები და ტუჩები აღარ უჩანდა, ისე დასივდაო! როგორი ამბავია, ცრემლებმა დამახრჩო. ასეთ „ექიმებს“ ცხვირი არ უნდა

გამოაყოფინო ციხიდან! ან შვილი არ გყავთ, ან ნათესავი, ან დედა, ან მამა, საიდან მოდიხართ ესეთი სადისტები?! არადა, დედისგან გენეტიკით გადასცემია იმუნოდეფიციტი და ამის გამო ქონია სიცხეები და სახსრების ტკივილი, რა ჩივილებითაც ექიმთან მიიყვანეს. ჯერ რას დაამსგავსეს ბავშვი, ცუდად გავხდი მე (სრულიად უცხო ადამიანი) და წარმოიდგინეთ რა დღეშია ოჯახი, დედა?

● კოლგოტკაზე თვალი რო წავა და მანიკიურით დაამაგრებ, ისე ყავს მიშას ნაცები.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ლენინგრადის ბლოკადა და თინა ხიდაშელი

ენაზე მოვდგარ სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა!..

თინა ხიდაშელის მიერ ლენინგრადის ბლოკადასთან დაკავშირებულ განცხადებას საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ლენინგრადის ბლოკადა იყო გმირობის მაგალითი და ის ხელშეუსახებელია.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებისგან რბილ განცხადებებს არ უნდა ელოდოს, თუმცა მას არ სჯერა, რომ თინა ხიდაშელს ასეთი რამ ეთქვას ლენინგრადის ბლოკადის თაობაზე.

თავის მხრივ, რუსული მხარე საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ანტირუსული რიტორიკით უკმაყოფილოა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის, პირველ რიგში, თინა ხიდაშელის მხრიდან მკაფიო ანტირუსული პოლიტიკის გამო, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციები სულ ერთია, რადგან ეს ხალხი მიჩვეულია 900 დღე ძალლების და კატების ჭამას. კარასინის თქმით, აქ იგულისხმება ლენინგრადის ბლოკადა და ეს უკვე აღემატება ყველა ზღვარს.

მოგვიანებით, თინა ხიდაშელი შეეცადა, უკეთ გამოეხატა სათქმელი და განმარტა, რომ „ტანჯვის გაგება სრულიად განსხვავებულია რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში და ამის მაგალითია ლენინგრადის ბლოკადა“.

რას ნიშნავდა ფაშისტებთან მებრძოლი ხალხისთვის ლენინგრადის ბლოკადა, რომელიც 1941 წლის 8 სექტემბერს დაიწყო და 1944 წლის 18 იანვარს დამთავრდა?

ეს იყო გერმანელთა მიერ ლენინგრადზე განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, კოდური სახელწოდებით, „ნორდლიხტი“ (ანუ ჩრდილოეთის ნათება). ალყაშემორტყმულ ლენინგრადში მიმდინარეობდა ბრძოლა გადარჩენისთვის.

ქალაქში დარჩენილი იყო 2 544 000 ადამიანი (მათ შორის, 400 000 ბავშვი), მეომრები, რომლებიც იცავდნენ ქალაქს, სურსათის მარაგი კი მხოლოდ 1-2 თვის სამყოფი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ დაბომბვის შედეგად დაიწვა საწყობები, სადაც ინახებოდა სურსათ-სანოვაგის მარაგები. ქალაქში გაჩერდა ყველა სახის ტრანსპორტი, რადგან საწვავი ფაქტიურად არ დარჩა. ქალაქს არ მიეწოდებოდა წყალი და არ ფუნქციონირებდა კანალიზაციის სისტემა, რადგან დაბომბვამ ინფრასტრუქტურა დაანგრია.

შესაბამისად, შემოიღეს ბარათები — 400 გ. პური მუშებზე და ინჟინერ-ტექნოლოგებზე, ხოლო დანარჩენზე 250-გრამი ერთ სულ ადამიანზე. ცოტა ხანში რესურსების შემცირების გამო, რაციონი კიდევ უფრო შემცირდა და 200-150 გრამი გახდა. დაიწყო შიმშილობა, ხალხი მარადიორობდა, გახშირდა მკვლელობები, ერთი ნაჭერი პურისა და ბარათისთვის კლავდნენ ადამიანს. ესხმოდნენ და არბევდნენ მაღაზიებს, საცხობებს. ხალხი პირდაპირ ქუჩაში ეცემოდა და კვდებოდა. სასოწარკვეთილი ადამიანები ჭამდნენ ყველაფერს — ცხოველებს, ძაღლებს, კატებს, ვირთხებს, ფრინველებს. წებოსგან ხარშავდნენ სუფს, ყლაპავდნენ წამლებს — გლიცერინს, ვაზელინს.

და ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც უკრაინული „ჰოლოდომორის“ (შიმშილით სიკვდილის) დროს, იყო კანიბალიზმის შემთხვევებიც. ხალხმა დაიწყო ჭამა მკვდარი ადამიანებისა, რომლითაც სავსე იყო ქალაქი.

თუმცა, გადმოცემით, მიუხედავად შიმშილისა და დაბომბვისა, ძალგამოცლილი ხალხი მიდიოდა ტაძარში, სადაც მსახურობდა ალყაშემორტყმული ქალაქის საყვარელი მწყემსი, მეუფე ალექსი, რომელიც ლენინგრადის ზეციური მეოხის — წმინდა ალექსანდრე ნეველის იმედით ამხნევებდა ხალხს.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუ ხიდაშელმა ლენინგრადის ბლოკადის შესახებ ასეთი რამ მართლაც თქვა, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, ან საჯაროდ გაიცინოს, ან გადააყენოს თანამდებობიდან, რადგან აქ პუტინი არაფერ შუაშია და ნახევარი მილიონი ადამიანი შიმშილით დაიღუპა ბლოკადაში.

„რუსეთში სწავლის დროს მინახავს ადამიანები, რომლებსაც პასპორტში ბეჭედი ერტყათ იმის დასამტკიცებლად, რომ ლენინგრადის ბლოკადა გადაიტანეს. ისინი უამრავი პრივილეგიით სარგებლობდნენ. ეს წარმოუდგენელი გმირობა იყო. იყო მომენტი, როცა დღიურად 40 გრამი პური ხვდებოდა ადამიანს, წყალი არ იყო, ყინულს ამტვრევდნენ და იქიდან ამოჰქონდათ წყალი. ამიტომ ხიდაშელის განცხადება ჩვენი წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაა. ეს მაგონებს ოქრუაშვილის უტაქტო განცხადებას, ფეკალიაც გაიყიდება რუსეთშიო. დაკნინდა ჩვენი საზოგადოება, რომ ასეთი რამ რეაქციის გარეშე გაატაროს იმ იმედით, მერე რა, თინა ხიდაშელმა ეს ხომ რუსეთზე თქვა და არა -ამერიკელებზე, ევროპელებზე?! ბოლოს და ბოლოს, ომის პირველ წლებში ინგლისშიც იყო კანიბალიზმი, როცა ლონდონისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ამაზე ფილმიც იყო გადაღებული, იმ დღეებს გავლილი ხალხი ისე მიეჩვია ადამიანის ხორცს, რომ ომის დამთავრების შემდეგაც იტაცებდნენ ადამიანებს. როდესაც მოსკოვზე შეტევა უშედეგოდ დასრულდა, ჰიტლერმა გადაწყვიტა, ბლოკადით აეღო ლენინგრადი. სტალინმა დასავლეთის ფრონტიდან გამოიძახა ჟუკოვი და ლენინგრადის დაცვის მთავარსარდლად დანიშნა. მაშინ ჟუკოვმა არაადამიანური ბრძანება გასცა, დაეხვრიტათ იმ ჯარისკაცის ოჯახის წევრები, რომელიც გერმანელებს ტყვედ ჩაბარდებოდა. თუმცა ცეკას მდივანმა, სტალინთან დაახლოებულმა მალენკოვმა ეს ბრძანება ძლივს გადაათქმევინა თავნება ჟუკოვს. ძალაში დარჩა მხოლოდ ის, რომ ტყვედ ჩაბარებულის ოჯახის წევრებს აღარ აძლევდნენ პურის ბარათებს, რაც შიმშილით სიკვდილს ნიშნავდა“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

„ხიდაშელს მუხრუჭები არა აქვს და ახლა, როგორც არ უნდა იმართლოს თავი, რისი გაფუჭებაც შეეძლო, უკვე გააფუჭა. არსებობს ზნეობისა და ეთიკის ზღვარი. რესპუბლიკელებს, ეტყობა, ორი წიგნი არა აქვთ ომზე წაკითხული. მაშინ რაღას ვალაპარაკებთ ზურაბ აბაშიძეს კარასინთან? ზურაბ აბაშიძემ აუცილებლად უნდა გააკეთოს განცხადება თინა ხიდაშელის ნათქვამის თაობაზე“.

For.ge რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძესაც დაუკავშირდა, თუმცა მან გვითხრა, რომ თბილისში არ იმყოფებოდა და კომენტარისთვის არ ეცალა.

ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება და სახელმწიფო მოხელეები ფრთხილად უნდა იყვნენ, როცა ცალკეული ხალხის გაჭირვების თემით აპელირებენ. ისტორიკოსი ფიქრობს, რომ დიდი ხანია, რუსი ერის სიძულვილით იზრდებიან მომავალი თაობები. არადა, შეიძლება რუსული პოლიტიკა არ მოგწონდეს, მაგრამ ეს ერების სიძულვილში არ უნდა გადაიზარდოს. მით უმეტეს, დღეს ყველანაირად გვჭირდება ურთიერთობის მოგვარება რუსეთთან.

„ლენინგრადის ბლოკადა მეორე მსოფლიო ომის გმირული ბრძოლის ფურცელია, როცა გაუსაძლის პირობებში მყოფი ხალხი ფაშისტებისაგან იცავდა თავის ქვეყანას. ფაშიზმი არავის გაუმართლებია დედამიწის ზურგზე, ვის წინააღმდეგაც არ უნდა ყოფილიყო ის მიმართული. ლენინგრადის ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამდენ ხანს გაგრძელდა და ამდენი ხნის განმავლობაში გერმანელები არ მოეშვნენ ლენინგრადელებს. ადამიანი ყველაზე დიდი ცხოველია დედამიწის ზურგზე და, როდესაც გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდება, ყველაფერს კადრულობს. ამიტომ ამის მარტო რუსებზე განზოგადება არ შეიძლება. საშინელებები გაუკეთებიათ ყველა ქვეყანაში. მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანი მოიქცევა ულირსად, თუკი ის ჩავარდება გაუსაძლის მდგომარეობაში. ამის მაგალითია ჰოლოდომორიც“, — აცხადებს გიორგი ოთხმეზური.

მანანა ნოზაძე

◎ მართლმსაჯულება

სამართალმა პური ჭამა, მაგრამ ამ მწამებლების დაჭერა არ გინდა?

საქართველოს პროკურატურის მიერ, წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა და შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა, ხოლო შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი სამუშია დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით გახსნილია დავით ახალაიას, გიორგი კალანდაძის, მეგის ქარდავასა და რომან შამათავას ორგანიზებით განხორციელებული მოქალაქე ელბერდ კობერიძის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ფაქტი და დადგენილია, რომ 2012 წლის 28 ივლისს, ქ.ზუგდიდში, საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელმა — გიორგი სამუშიამ, ამ დროისთვის დაუდგენელ 2 პირთან ერთად ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ისე რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმე, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება გალის რაიონში მცხოვრებ ელბერდ კობერიძეს, იძულებით ჩასვა თავის სამსახურებრივ ა/მანქანაში, დაადო ხელბორკილი, თავზე ჩამოაცვა ტომარა და გადაიყვანა ქ.თბილისში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ის უკანონოდ გამოამწყვდიეს სამხედრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახში.

მეორე დღეს, 29 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, ზუგდიდან მოტაცებულ და ოთახში დამწყვდეულ ელბერდ კობერიძესთან შესახვედრად შეიკრიბნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე — დავით ახალაია, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე — გიორგი კალანდაძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი — მეგის ქარდავა და შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსი — რომან შამათავა, რომლებმაც არარსებული ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მოთხოვნით, ელბერდ კობერიძეს დაუწყეს წამება, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში, კერძოდ, მას არაერთხელ შეასხურეს მხუთავი აირი, გაგუდვის ინსცენირების მიზნით თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და დააგდეს ძირს, წაქცეულს უმოწყალოდ სცემეს ფეხებითა და ხელკეტებით, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით, თავზე აჭერდნენ ფეხს და მიმართავდნენ ყველა ხერხს, რათა ე.კობერიძეს რეალურად აღექვა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე. წამებისას ელბერდ კობერიძე გახდა ცუდად და დაკარგა გონება, რა დროსაც უგონოდ მყოფი გაიყვანეს ამავე შენობაში მდებარე სხვა ოთახში და დატოვეს ხელზე ბორკილდადებული, სადაც 8 დღის განმავლობაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ყავდათ უკანონოდ გამომწყვდეული.

მთელი ამ დროის განმავლობაში ე.კობერიძის ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახისათვის, რის გამოც მათ დასახმარებლად პოლიციას მიმართეს, თუმცა უშედეგოდ, არც ერთი სახელმწიფო ორგანო გატაცებული ელბერდ კობერიძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ გასცემდა.

2012 წლის 6 აგვისტოს, ნაწამები და უგონო მდგომარეობაში მყოფი ე.კობერიძე, სამხედრო პოლიციის შენობიდან გადაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ხელბორკილით მიაბეს საწოლზე, დააწესეს მასზე მუდმივი მეთვალყურეობა და დანაშაულის კვალის შენიღბვის მიზნით იგი დაარეგისტრირეს ელდარ მამალაძის სახელით.

2012 წლის 13 აგვისტოს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გაწეული მკურნალობის შემდეგ ე.კობერიძე გადაიყვანეს თბილისში და დატოვეს ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე. სადაც ის თითქოსდა 8 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა პოლიციამ. 2012 წლის 8 ოქტომბერს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ე.კობერიძემ დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება. მთელი ამ დროის განმავლობაში კი მისი ადგილსამყოფელი ოჯახისთვის უცნობი რჩებოდა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“, ასევე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

ХО-ЭОВ-ЭЕО

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქვეყნის პროგრესის სამსახურში

(პირველი გვერდიდან)

წლეულს ჩატარდა არჩევნები და აკადემიის წევრების ვაკანტურ ადგილებზე არჩეულია ჭეშმარიტად ღირსეული, საერთაშორისო აღიარების მქონე 5 მეცნიერი. და აღსანიშნავია, რომ ხუთივე არჩეულია წევრ-კორესპონდენტების რიგებიდან: ესენი გახლავთ **თინათინ სადუნიშვილი** (ბიოტექნოლოგია), **გიორგი თავაძე** (მასალათმცოდნეობა, ლითონთა ტექნოლოგია), **ალექსანდრე ხარაზიშვილი** (მათემატიკა), **ავთანდილ არაბული** (ქართველური ენათმეცნიერება), **აპოლონ სილაგაძე** (ფილოლოგია). არჩევნებმა ჩაიარა სრულიად სამართლიანად და მაღალ დონეზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, არც ერთი პრეტენზია არჩევნების შესახებ ოფიციალურად არ გამოთქმულა.

აკადემიაში დამუშავდა და აკადემიურმა საბჭომ განიხილა კანონპროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და განსახილველად შეიტანა პარლამენტში.

სისტემატურად იმართება აკადემიური საბჭოს გასვლითი სხდომები; აქ უნდა აღინიშნოს სხდომები კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან ერთად ჩატარებული სხდომა ქალაქ ბათუმში, რომელიც მიეძღვნა აჭარაში არსებული სამეცნიერო დაწესებულებების მიღწევებს, სხდომა ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

აკადემია აქტიურად მონაწილეობს იუნესკოს მიერ დაწესებული მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ამ დროს საპატიო სიგელით ჯილდოვდებიან ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები, ტარდება აკადემიურ საბჭოსთან არსებული კომისიების სპეციალური ღია სხდომები.

აკადემიასთან არსებული აკადემიკოს გ.წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“), რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, უპირველეს ყოვლისა, მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მემკვიდრეობის სისტემატიზაციასა და პოემის აკადემიური გამოცემის მასალების გამოქვეყნებაზე, შოთა რუსთაველის პოემასა და შესაბამის ეპოქასთან დაკავშირებული კვლევების თავმოყრასა და სათანადო ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე და აგრძელებს პოემის ახალ საგამომცემლო პროექტზე მუშაობას. კომიტეტის მნიშვნელოვანი სამუშაოა „ქართული ენის თესაურუსი“, ანუ სრული ლექსიკონი, რომელიც საბოლოოდ წარმოაჩენს ქართული ენის მდიდარ ისტორიას. მომზადდა ამ ლექსიკონის ელექტრონული ბაზები და შესაბამისი ლემატიზაციის კომპიუტერული პროგრამა. სამუშაოთა დიდი ნაწილი განთავსებულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ მოამზადა და გამოსცა ენციკლოპედია „საქართველოს“ მესამე ტომი, მუშაობს ამ ტომის ელექტრონულ ვერსიაზე, ასევე მოაწყო ახალი წიგნის „100 ღირსსახსოვარი სახელი“ პრეზენტაცია, რომელშიც მოყვანილია მონაცემები იმ გამოჩენილ უცხოელებსა და წარმოშობით არაქართველ პირთა შესახებ, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ ან გარკვეული დროით ცხოვრობდნენ და თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ კულტურაში, მეცნიერულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აკადემიიდან ზემდგომ ორგანოებში მიწოდებულ გზავნილებათა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2013 წელს — 158; 2014 წელს — 187; 2015 წლის (6 თვის) — 143.

გამოდის აკადემიის პერიოდული გამოცემები, კერძოდ ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“ (ინგლისურ ენაზე; მისასალმებელია, რომ „მოამბე“-ს იმპაქტ ფაქტორი იზრდება, რაც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში მისი ავტორიტეტის ამაღლებაზე მეტყველებს), ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები: „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორია“, „ქიმია“, „ბიომედიცინა“. აკადემიის წევრთა რედაქციით ინგლისურ ენაზე გამოდის მაღალი იმპაქტ ფაქტორიანი გამოცემები — „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ და ჟურნალი „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (რედაქტორი — აკადემიკოსი ივანე კიღურაძე), „ჰომოტოპიის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების ჟურნალი“ (რედაქტორი — აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე), „საქართველოს სამედიცინო სიახლეები“ (რედაქტორი: აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე), ასევე ქართულენოვანი ჟურნალები „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“ (რედაქტორი — აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა) და „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

2015 წლის 11 ნოემბერს გამოფენა „ექსპოჯორჯიაში“ ჩატარდა ცნობილი გამომცემლობის „ელსევიერის“ სიაში ორი ინგლისურენოვანი პერიოდული გამოცემის: „ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების“ (რედაქტორი აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი) და „აგრარული მეცნიერების მაცნეს“ (რედაქტორი აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე) პრეზენტაცია.

აკადემია დიდი ექსპოზიციით წარსდგა ა.წ. 10 ნოემბერს მეცნიერების მსოფლიო დღის აღსანიშნავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწყობილ გამოფენაში, რომელმაც მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბოლო წლები გამოირჩევა ქართველ მეცნიერთა ახალი უნიკალური მიღწევებით. კერძოდ მხოლოდ 2014-2015 წლებში ინგლისურენოვან გამომცემლობაში „ჩაპმენი და ჰოლი“ გამოქვეყნდა ალექსანდრე ხარაზიშვილის მონოგრაფია **„ანალიზის სიმრავლურ-თეორიული ასპექტები“,** გამომცემლობაში „ნოვა“ დაიბეჭდა აკადემიკოს თენგიზ ურუშაძის და აკადემიის უცხოელი წევრის **ვილფრედ ბლუმის** მონოგრაფია **„საქართველოს ნიადაგები“,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **გიორგი ნახუცრიშვილის** მონაწილეობით გამოიცა აშშ-ში **„კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხა“,** რუსულ ენაზე გამოქვეყნდა აკადემიკოს **მინდია სალუქვაძის** მონოგრაფია **„გარანტიები და რისკები კონფლიქტებში, მათი გამოყენება“** (თანაავტორობით), რომელმაც გაიმარჯვა სრულიად რუსეთის 2014 წლის საუკეთესო სამეცნიერო წიგნის კონკურსში, აღსანიშნავია აგრეთვე აკადემიკოს **ოთარ ნათიშვილის** და სხვათა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი **„ფერდობზე ჩამონადენის ტალღური მოძრაობა და გრუნტების ნიადაგის ეროზიის ინტენსიურობა“,** დედამიწის ლითოსფეროს აგებულებისა და განვითარების სრულიად ახლებური ინტერპრეტაციის საკითხში საინტერესო შედეგები აქვს მიღებული აკადემიკოს **ერეკლე გამყრელიძეს,** რაც სინთეზირებულია მის მიერ შედგენილ **საქართველოს ახალ ტექტონიკურ რუკაში.** დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში. დამუშავდა რამდენიმე კონცეფცია, მ.შ. **„უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კონცეფცია და საპროგრამო წინადადებები გეოლოგიური და სხვა ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინებით“, აგრეთვე „საქართველოს სეისმური უსაფრთხოების კონცეფცია“,** რუსულ ენაზე დაიბეჭდა აკადემიკოს რონინ მეტრეველის წიგნი: **„დავით აღმაშენებელი — კავკასიის გამაერთიანებელი“ (ჯ.სამუშაოსთან ერთად),** დაიბეჭდა აკად. წევრ-კორ. **გურამ გაბრიჩიძის** სამენოვანი მონოგრაფია **„წესრიგი და უწესრიგობა“;** გამოიცა აკადემიკოს **გივი ციცაძის** წიგნი **„$K_2[Zn(NCS)_4]3H_20$ კრისტალის რენტგენოსტრუქტურული გამოკვლევა“,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ქეთევან ნემსაძის** მონოგრაფია **„ფეტალური და ნეონატალური მედიცინა“,** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **გურამ ლორთქიფანიძის** მონოგრაფია: **„მასალები ქართული საფასურმცოდნეობის ისტორიისათვის“** (ქართულ და ინგლისურ ენებზე); გამოვიდა **არნოლდ ჩიქობავას შრომების მერვე და მეცხრე ტომები,** რომელთა რედაქცია ეკუთვნის აკად. **გუჩა კვარაცხელიას** და აკად. წევრ-კორ. **ვაჟა შენგელიას,** მერვე ტომში აგრეთვე დაიბეჭდა ქალბატონ **გუჩა კვარაცხელიას** სტატია **„პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრება“, მისივე რედაქციით გამოვიდა ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ორი წიგნი;** საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ გამოცემებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა აკადემიკოსების **გიორგი კვესიტაძის, თენგიზ ბერიძის, თინათინ სადუნიშვილის** სამეცნიერო წერილები; ჟურნალში „Science“ დაიბეჭდა აკადემიის წევრ-კორ. **დავით ლორთქიფანიძის** ვრცელი ნაშრომი: **„სრული თავის ქალა დმანისიდან, საქართველო და ადრეული ჰომინიდის ევოლუციური ბიოლოგია“** (თანაავტორობით). ავტორმა ჟურნალში „Nature Communication“ თანაავტორებთან ერთად გამოაქვეყნა სტატია: **„ზედაპალეოლითური გენომის ღრმა ფესვები თანამედროვე ევრაზიულ მოსახლეობაში“.** აკადემიკოსმა **ზაზა ალექსიძემ** გამოსცა მონოგრაფიები **„თეოლოგიური პოლემიკა კავკასიაში. VI საუკუნე“,** და „თარიღიანი **ქართული ხელნაწერები“** (ქართულ და ინგლისურ ენებზე), აკადემიკოსმა **ნანა ხაზარაძემ „საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია“.** გამოიცა აგრეთვე აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** მონოგრაფია **„საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები“,** აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** და პროფესორ **დუდანა გაჩეჩილაძის** წიგნი: **„ექსტრაკორონალური სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“.** აღსანიშნავია, რომ ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემის შემდეგ, მომზადდა და გამოიცა **„ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე;** აკადემიის წევრმა **ავთანდილ არაბულმა** ნაყოფიერად იმუშავა **ქართული ენის კანონპროექტის კომენტარებზე;** აკადემიკოსმა **ავთანდილ კორახაშვილმა** მოამზადა სახელმძღვანელო **„აგრარული ნანოტექნოლოგიები“,** ხოლო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ირაკლი ელიავამ** პროფესორ **ერისტო ყვავაძესთან** ერთად გამოსცა **ეკოლოგიური ლექსიკონი;** წელს, პირველად საქართველოში, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რადიაციული ონკოლოგიის განყოფილებაში ფირმა „ვარიანის“ **აპარატურის TRUEBEAM საშუალებით პაციენტებს უტარდებათ მკურნალობის მთელი სპექტრი და ა.შ. აკადემიის წევრები ხელმძღვანელობენ მრავალი საერთაშორისო გრანტისა და პროექტის შესრულებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მედიკამენტების შექმნის მიმართულებით ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობდა მოღვაწეობას აკად. ე. ქემერტელიძე.**

მეცნიერებათა აკადემიაში სისტემატურად ტარდება სამეცნიერო ღონისძიებები და შეხვედრები. უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში შედგა 100-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი და სხვ. მაგალითად, **აკადემიის წევრთა ხელმძღვანელობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები „ჰარმონიული ანალიზისა და ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების ახალი ასპექტები“, „შვედურ-ქართული კონფერენცია ანალიზსა და დინამიკურ სისტემებში“, „პეტრომას 2014“, ევრაზიის მე-8 კონფერენცია პეტროციკლურ ნაერთთა ქიმიაში, მე-3 საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში, ფარმაცევტული და ბიოსამედიცინო ანალიზის 25-ე სიმპოზიუმი.**

აკადემიის ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მის შემადგენლობაში ასოცირებული წევრის სტატუსით შემოვიდა 7 ინსტიტუტი და ეს პროცესი გრძელდება; რამდენიმე სამეცნიერო ორგანიზაციამ მსგავსი თხოვნით უკვე მომართა აკადემიას.

გააქტიურდა მუშაობა ახალგაზრდა მეცნიერებთან, რაშიც დიდია 2014 წლის ოქტომბერში შექმნილი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ღვაწლი. საბჭოს საიტზე ახალგაზრდა მეცნიერებს შეუძლიათ, გაეცნონ უახლეს ინფორმაციას კონფერენციების, გრანტების, საზღვარგარეთ სწავლების შესახებ. **შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერების განვითარების ფონდი, რომლის მთავარი მიზანია დოქტორანტთა საქმიანობის ხელშეწყობა. 2015 წლის მაისში აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო მედიკოს სტუდენტთა ონკოლოგიური კონგრესი, ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, გამოიცა თეზისების კრებული.**

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების და მიზნობრივი თემატური ნიშნით ჩამოყალიბებული კომისიების ინტენსიური მუშაობის, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ღონისძიებებისა და შეხვედრების **შედეგად შემუშავდა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამეცნიერო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სტრატეგია.** იგი ითვალისწინებს როგორც ფუნდამენტურ, ასევე ინოვაციურ და თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე ახალი სამრეწველო, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული, აგრარული, თავდაცვითი თუ სხვა მასშტაბური ობიექტების მშენებლობას, არსებულის რეკონსტრუქცია-გადაიარაღებას, რომელიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სახსრების, ან მოზიდული უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების ხარჯზე. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი საუბარი ერის ინტელექტუალურ განვითარებასა და მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის გამოშვებაზე, ახალი თავდაცვითი საშუალებების წარმოებაზე, დასაქმების პრობლემების გადაჭრა-განხორციელებასა და საბოლოოდ, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ეს გახლავთ მნიშვნელოვანი რეალური ამოცანები, რომლებიც დგას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 233

კორიბანტული იეროგლიფებიდან არმაზულ ასომთავრულამდე

1978 წელს მთლად ის დროც აღარ იყო, 1941 წლისთანა, პირველად როდესაც გამოქვეყნდებოდა პავლე ინგოროყვას მიერ გაშიფრული არმაზული ქართული წარწერები — „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (1 საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა“) — და უნუგეშოდაც მიიკარგებოდა, თითქოსდა სენსაციური აღმოჩენის წინაშე კი არ ვიდექით, არამედ რაღაც რიგითი გამოკვლევისა...



დიახ, მთლად ის დროც აღარ იყო, მაგრამ შესაფერისი გამოხმაურება არც მის განმეორებას მოჰყოლია „ენიმკის მოამბიდან“ მეცნიერის თხზულებათა მეოთხე ტომში.

იმხანად საბედისწერო ჟამი დასდგომოდა ქართულ ენასაც და ქართულ ანბანსაც და მით უფრო უნდა მოვჭიდებოდით — ბოლოს და ბოლოს, ეს გამოკვლევა ირწმუნებოდა და დოკუმენტურადაც ადასტურებდა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანული ეპოქის მონაპოვარი კი არა ყოფილა, არამედ გაცილებით ადრინდელი გახლდათ და წარმართული ხანის ძეგლად უნდა გვეღიარებინა.

ხუთად ხუთი ასო გაეშიფრა პავლე ინგოროყვას?

მაგრამ ეს ხუთი ასო ციდან ხომ არ ჩამოფრინდებოდა, როგორც რაღაც დამოუკიდებელი მოვლენა, ანბანის ნაწილი იყო და ლანგარზეც და სტელაზეც მხოლოდ ისინი რომ დაესაჭიროებინათ, ეს სულაც არა ნიშნავდა, რომ დანარჩენი ასოები არ მოგვეძევებოდა.



გადაივლიდა საბედისწერო ჟამი და... ამ ნარკვევის წამოწევას კი არა და არ დაადგებოდა საშველი.

თუმც მის მიმართ ყურადღებას გაამახვილებდა აკაკი ბაქრაძე.

საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ლადო ჭელიძე.

პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში საკმაო ადგილს დაუთმობდა თქვენი მონა-მორჩილი.

და აი, მაინც მოაწევდა მისი ჟამი.

და პავლე ინგოროყვას ამ ნაშრომს ხელახლა შემოიტანდნენ საზოგადოებრივ-სამეცნიერო მიმოქცევაში მარიამ ნინიძე და ლადო ჭელიძე, ძიების ამ მიმართულების მართებულობას რომ აღიარებდნენ და დიდებული მკვლევარის დაკვირვებებსა და მოსაზრებებს დაადასტურებდნენ და შეავსებდნენ ნარკვევში: „ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები (პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ)“.

მათ საჯარო მოხსენებას ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა ორივე ნარკვევის შეკონვა-გამოცემა ცალკე წიგნად — ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობითა და დავით გალეგაშვილის (კიდევ ერთი თავგამოდებული პავლიკიანელის!) მონდომებით.

ახლა მაინც აღარ მიგვეკარგოს პავლე ინგოროყვას ეს მსოფლიო აღმოჩენა.

განა ბევრი მოიპოვება ანბანთა ასერიგად უძველესი დოკუმენტური დადასტურებანი?

და ჩვენ თუ არ დავაფასებთ ამ მონაპოვარს და შესაფერისადაც არ ავახმაურებთ მსოფლიოს, სხვა ვითომ რატომ გამოიდებს თავს?

და სავსებით კანონზომიერი მოჩანს და თავისებურად სიმბოლურიც, რომ მაინცდამაინც იმავე ხანებში გავხდით მოწმე გრაკლიანის იეროგლიფური წარწერის აღმოჩენისაც — ანბანამდელი ქართული დამწერლობის, იმ წინარე საფეხურის, მალევე რომ ითხოვდა ასომთავრული ანბანის მსგავსი დამწერლობის შექმნას — ქრისტიანობამდელ ხანაშივე.

ეს ხომ ის ძეგლია, აპოლონიოს როდოსელი რომ მოიხსენიებდა საგმირო ეპოსში „არგონავტიკა“:

— ამათ (აიელებს, ანუ კოლხებს) შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.

და ამას აღნიშნავს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ეპიკოსი და მეცნიერი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორი და უგანათლებულესი პიროვნება, რომლის ამ პოემის პროზაული თარგმანის კომენტარებშიც აკაკი ურუშაძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ცნობას კირბების შესახებ, როგორც პირველ უწყებას ძველ ქართულ დამწერლობაზე, „მამათაგან ნაწერი კირბების“ არსებობა ხომ მართლაც უშუალო დასტურია ანტიკური ხანის ქართველ ტომთა მაღალი კულტურისა.

— აპოლონიოს როდოსელის ხანაში კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები სამანძილე კირბების სახით, რომელთაც კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ.

აკაკი ურუშაძე იმოწმებს როდოსელის სქოლიასტს, რომლის მიხედვითაც, კირბები მაღალი ბოძებია, სხვადასხვა წარწერის შემცველი.

იმოწმებს სვიდას ლექსიკონსაც: კირბები სამწახნაგა დაფებია, ქვისგან აღმართულ სვეტებზე მიკრული. ამ დაფებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდაო.

იმოწმებს აპოლოდორე ათენელის თხზულებიდან „ღმერთთა შესახებ“ ცალკეულ პასაჟებსაც;

რომ კირბები შეიცავდა ნაწერ კანონებს;

რომ ყველა საზოგადო საბუთსა და კანონს კირბისი ერქვა, ძველები ქვებს აღმართავდნენ და ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ... კირბისი წმინდა წარწერათა შემცველი ბოძი გახლდათ;

რომ კირბები შეიცავდნენ დაწერილ კანონებს და ზეაღმართულ ქვებს წარმოადგენდნენ.

და რომ კირბების აღმოჩენა კორიბანტებს მიეწერებათ.

მკვლევარი და მთარგმნელი იხსენებს სტრაბონის გადმოცემას, რომ: კორიბანტები კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან ლემნოსელ კაბირებს.

მოიხმობს აგრეთვე ფოტიოსის „ლექსიკონს“, სადაც დამოწმებულია თეოფრასტე, რომელიც ირწმუნება: კირბები კრეტელ კორიბანტთა მონაპოვარია, ვინაიდან კირბები კორბინატულ წმიდა წარწერათა ასლებიაო.

და აკაკი ურუშაძეს როგორ არ აღენიშნა ამ ცნობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაკიღა კირბების აღმოჩენის ხელოვნება კოლხებს მიეწერებოდათ, ხოლო კორიბანტები (კარიბები) კოლხთა ღვთაებებად თუ ქურუმებად ითვლებოდნენ.

და მოიშველიებდა გიორგი მელიქიშვილის მოსაზრებასაც: ეს უძველესი ჩანაწერები უნდა მივაკუთვნოთ ძველი კოლხეთის სამეფოს, რომელიც ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე იყოო.

სკეპტიკოსებიც არ აკლია ამგვარ ცნობებს, გაცილებით რომ ურჩევნიათ, თუნდ კირბების არსებობა ეპიკოსის პოეტურ წარმოსახვას მიაწერონ, სქოლიასტებსა თუ ისტორიკოსებსაც რომ აიყოლიებდნენ მხატვრული შთაგონებით აღვსილნი.

ერთი ტროაა ჰომეროსის გამონაგონი და მეორე — კოლხური კირბებია აპოლიონის როდოსელის წარმოსახვის ნაყოფი.

აჰა დასტური, თვალნათლივი და ხელშესახები — გრაკლიანის სამაროვანის აღმოჩენა.

ამ წარწერიდან ანტიკური სამყარო შემოგვყურებს — ქართულიც და ბერძნულიც, და სათითაოდ გამოვარჩევთ აჩრდილებს არგონავტთა კრებულისა, ოქროს საწმისი რომ უნდა გაეტაცებინათ და უმძიმესი დარტყმაც მიეყენებინათ იმ ძველი ქართული სამეფოსათვის, რომლის ნამსხვრევებსაც ასე გულმოდგინედ დავეძებთ, მაგრამ მონაპოვარს კი სათანადოდ ვეღარ ვპატრონობთ.

გრაკლიანის იეროგლიფური დამწერლობისათვის მიწის მიყრა რაღა იყო, არა?

განა ცოტა ხანს განისვენებდა მიწაში, კვლავ მისთვისვე რომ არ დაგვებრუნებინა?

ერთმანეთისაკენ მიილტვის ეს ორი ძეგლი:

- გრაკლიანის იეროგლიფური წარწერა
- და
- არმაზული ასომთავრული.

და ნუღა გადავდებთ მათ შეკავშირებასა და ერთობლივად გატანას საერთაშორისო ასპარეზზეც, თორემ ჩვენ კვლავაც რომ უნდა გავაგრძელოთ ძიება ამ მიმართულებით, ეს თავისთავად.

დამარხვა არ აკლია არც ერთსა და არც მეორეს.

და დაე დადგეს, ბოლოს და ბოლოს, ჟამი მათი ჯეროვანი გაბრწყინებისაც!..

* * *

შლიმანი და შლიმანიო, — რომ გავიძახით, აგერ არა გვყავს ჩვენი შლიმანიც: პავლე ინგოროყვა?!

ყური დავუგდოთ მის რჩევებს, დაკვირვებებს, მიგნებებს, აღმოჩენებს, შეხედულებებს — სხვა კი არაფერი გვევალება.

აგერ მისთვის ყურის დაგდებამ რა პერსპექტივა გადაუხსნა თუნდ მარიამ ნინიძისა და ლადო ჭელიძის კვლევას.

როგორ დავიჯერო, რომ გრაკლიანის იეროგლიფურ წარწერასაც არ გამოუჩნდება თავისი პავლე ინგოროყვა, ხეთურ იეროგლიფურ დამწერლობას რომ უტრიალებდა და ქართული ცივილიზაციის ისტორიის სრული სურათის წარმოსახვისათვის აუცილებელ საფეხურად ესახებოდა.

პერსპექტივა მერე ნახეთ!.. თუმც უამისოდაც დიდი მოვლენის კარიბჭესთან ვდგავართ.

და შესაფერისადაც ვუპატრონოთ — ეს მაინც დავივალოთ...

* * *

სხვა ერების ხელთ რომ მოხვედრილიყო არმაზული ასომთავრულის ბადალი მასალა!..

და ძველკოლხური კირბებისა!..

როსტომ ჩხეიძე

◎ ალიან-ჩალიანი

„ცოცხალი წიგნები“ თავდაცვის აკადემიაში

დავით ალმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიას პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში მწერლები და პოეტები ესტუმრნენ. ბათუ დანელია, ნანა ქარდავა, გივი ალხაზიშვილი, მანონ ბულისკერია, ნინო გუგეშაშვილი, ირმა ბერიძე, ინა არჩუაშვილი, ირაკლი ლომოური, მარიამ წიკლაური და შორენა ლებანიძე აკადემიის იუნკერებს შეხვდნენ და მათ თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

სტუმრებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილემ ერეკლე ჩიგოგიძემ და თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნათია ტრაპაიძემ უმასპინძლეს. შეხვედრას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძეც დაესწრო. მსმენელები სტუმრების ლექსებსა და მოთხრობებს დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ისმენდნენ. რამდენიმე იუნკერმა მწერლებს საკუთარი შემოქმედებაც გააცნო.

„ეს პროექტი არის ძალიან კარგი წამოწყება, რომელიც ქეთევან დუმბაძეს ეკუთვნის. ამჯერად ჩვენ სტუმრად ვიყავით იუნკერებთან, წავიკითხეთ ჩვენი ნაწარმოებები. იუნკერები დიდი ინტერესით გვისმენდნენ. ეს კონტაქტი აჩენს გარკვეულ ტრადიციას, იქმნება გარკვეული დამოკიდებულება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მიხარია, რომ ეს კონტაქტი შედგა“, — განაცხადა მწერალმა გივი ალხაზიშვილმა. შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა დაათვალიერეს და ბიბლიოთეკას საჩუქრად თავიანთი წიგნებიც უსახსოვრეს. პროექტი „ცოცხალი წიგნები“ კულტურისა და თავდაცვის სამინისტროებს შორის ნოემბერში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება.

გზა, რომელსაც ტაძართან მივყევართ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა ვაზიანი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ვაზიანი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაების საავტომობილო გზა 30 წელზე მეტია, არ შეკეთებულა, რის გამოც ნალექიან ამინდში თითქმის გაუვალი ხდებოდა. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაიწყო. სარეაბილიტაციო მონაკვეთი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 3 სოფელს: სააკაძეს, მარტყოფს და ნორიოს ერთმანეთთან და თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო მნიშვნელობის გზასთან აკავშირებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი VI საუკუნის ისტორიულ ძეგლთან — მარტყოფის ღვთაების ეკლესიასთანაც მიდის და ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

საავტომობილო გზის 6,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია ითვალისწინებს ასფალტ-ბეტონის საფარის, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნებისა და ავტოპავილიონების მოწყობას. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ ხიდს და აშენდება კიდევ ერთი სახიდე გადასასვლელი. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 5 მილიონ 333 ათას 330 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე მხატვარ ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკის წარდგენის გამო



ფარშევანგები

მხატვარი, კოლექციონერი, მწერალი, ქველმოქმედი — ამ უაღრესად საამაყო უკეთილშობილესი წოდებებიდან თუნდაც ერთის ქონა ბევრის ცხოვრებაში საამაყოდ იქნებოდა და შთამომავლობას დიდებულ მემკვიდრეობადაც დარჩებოდა. მე-20 საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ნიჭიერი, მსოფლმხედველობით, სამყაროს, მშობლიური მხარისა და ქალაქის სიყვარულით, განსაკუთრებით კი სილამაზის აღქმით გამორჩეული ბრწყინვალე წარმომადგენელი ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკი ამ ოთხივე გამორჩეული ტიტულის მატარებელია.

ვლადიმერ კანდელაკის ბიოგრაფია, თვალის ერთი გადავლებით, ღირსშესანიშნავი თარიღებით გაჯერებული თითქოს არ არის: დაიბადა თბილისში, 1943 წელს, ცნობილი არქიტექტორისა და შესანიშნავი მხატვარ-კარიკატურისტის ანდრო კანდელაკის ოჯახში. 1958 წელს შევიდა ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში, 1963 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც მისი მასწავლებელი და დამრიგებელი გამოჩენილი ქართველი მხატვარი სერგო ქობულაძე იყო. უდიდესი ზეგავლენა მასზე შესანიშნავმა რუსმა მხატვარმა ვასილი შუხაევმა იქონია, რომელიც ისევე, როგორც სახელოვანი ქართველი მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე, მისი პედაგოგი იყო, შემოქმედების შემფასებლები კი სამამულო სახვითი ხელოვნების კორიფეები — ლადო გუდიაშვილი და უჩა ჯაფარიძე. ასპირანტურა მან 1973 წელს დაამთავრა.

მისი პირველი პერსონალური გამოფენა გამომცემლობა „მერანში“ 1971 წელს მოეწყო. მას შემდეგ ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების ხილვა პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების მნახველებს არა მარტო თბილისში, მაშინდელი სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, არამედ უცხოეთის მრავალი, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ჰქონდათ, სადაც მხატვარი დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

1970-80-იან წლებში ვლადიმერ კანდელაკი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საერთაშორისო და საკავშირო სამხატვრო გამოფენებში, რომლებზეც წარმატება და აღიარება უდავოა — ამის დასტურია მუზეუმების მიერ მხატვრის ნამუშევართა შეძენა, მისი ნახატები ჩნდება მოსკოვის სახელმოხვეჭილი ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს სამხატვრო ცენტრებში.

„მხატვრის სულის ბიოგრაფია რომ გავიზიაროთ, ამისთვის ანკეტის ჩაკითხვა, ან კრიტიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების რეცენზიების გაცნობა არ კმარა. აუცილებელია სურათების ღრმად წვდომა, იმ ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური ორიენტირების განსაზღვრა, ვისთვისაც ფერწერა ბედიც გახდა, ნიჭის ბუნებრივი და ერთადერთი გამოვლინებაც, და აღმოჩენაც“, — წერს ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევართა ალბომის წინასიტყვაობაში ცნობილი ჟურნალისტი ია მუხრანელი და მისი ეს სიტყვები სწორედ ის გასაღებია, რომელიც ზუსტად ერგება იმ იდუმალ ცხრაკლიტურს, რომელსაც „მხატვრის შემოქმედების იდუმალება“ ჰქვია.

პირადად ჩემთვის, სახვითი ხელოვნების ერთი რიგით ტრფიალისთვის, ძნელია ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებაზე თუნდაც მოყვარული ხელოვნებათმცოდნის დონეზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა თემებზე მეტად, მას მშობლიური ქალაქი, მისი არცთუ შორეული წარსულის ხალხი და ყოველდღიური, ხშირად ფანტასმაგორიული ფრაგმენტებით გაჯერებული ყოფა, საქართველოს მთიანეთის განუმეორებელი ხედები და ადამიანები იზიდავს, სამშობლოს დიადი წარსული უდიდესი სიამაყით აღავსებს, სიძველეებისადმი უკიდეგანო პატივისცემა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, საბჭოთა იმპერიის ბანქოს ქაღალდების მსგავსი მაცდურობა და სიყალბე ზარავს, დატყვევებული სილამაზის გამო უსაზღვრო დარდი აწუხებს...

თბილისი, მისი მკვიდრნი და დღესასწაულები ვლადიმერ კანდელაკისთვის შთაგონების წყარო რომაა, ეს, თავისთავად, დიდად გასაკვირი ალბათ არ არის, მის ქალაქურ პეიზაჟებში მნახველს მხატვრის ხედვის ორიგინალობა, სიყალბის გროტესკული და ნაღდის, ეროვნულის სევდანარევ-ღიმილიანი წარმოჩენა იზიდავს. ასევე დიდებულია მისი სვანური, ხევსურული, მთათუშეთური, იმერული, კახური მოტივების ნამუშევრები, ჯერ კიდევ სტუდენტობისას შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები „ავთანდილის სიმღერა“, „როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა“, სხვები. უაღრესად შთამბეჭდავია და აშკარად მეამბოხურია სსრ კავშირის სიმბოლოდ აღსაქმელი ბანქოს ქაღალდის „მრავალსართულა-ხუხულები“, გულში ჩამწვდომი სერია „ჯვრები“, „დეკორატიული მოტივები“ „ბავშვობის მოგონებები“, ყველაზე გულის დამწყვეტი კი რკინის გალიაში გამომწყვდეული სილამაზის აპოთეოზი, კუდდაკეცილი ფარშევანგებია, თუმცა მერე და მერე იმედი ისახება და ფარშევანგიც კუდს შლის...

მეტად მიმზიდველსა და გამოსახველობითი ზემოქმედებით ძალზე მრავალფეროვანს ხდის მხატვრის შემოქმედებას სხვადასხვა ფორმისა და ტექნიკის ნაირსახეობა — ეტიუდები, მხატვრული ტილოები, პორტრეტები, ხოლო ფანქრის, ტემპერის, ზეთის საღებავების მრავალ ფენად გამოყენება შემოქმედსაც დიდ საასპარეზოს აძლევს და მნახველსაც მეტად ხიბლავს.

„ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებაზე ზოგადი მსჯელობისა თუ შედარებით მასშტაბური მრავალი კვლევის დროს, სპეციალისტები უმთავრესად მხატვრის ნამუშევრების „ნონკონფორმისტულ“ ხასიათზე ამახვილებენ ყურადღებას. ამგვარი დეფინიცია არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან მრავალ ნამუშევარში აშკარად იგრძნობა აღნიშნულ მიმდინარეობასთან ვ. კანდელაკის შემოქმედების შინაგანი კავშირი და ნათესაობა. თუმცა „ნონკონფორმისტული“ მსოფლგანცდა თავისთავად ძალზე საინტერესო, რომელიც ყურადსაღები მოვლენაა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ მხატვრობაში, სრულად ვერ ფარავს შესანიშნავი ფერწერისა და გრაფიკოსის ძიებათა ფართო სპექტრს, ინტერესთა მრავალფეროვნებას და სხვა არაერთ მიმდინარეობასთანაც ასოცირდება, — წერს შესანიშნავი ესეიში „ჩემი ენა ჩემი მხატვრობა“ ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ტომარაძე. — **საგულისხმო ფაქტია, რომ ვლადიმერ კანდელაკის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა ექსპერიმენტი პოპარტის ხელოვნებაში, ბოლო ხანებში მწერლობითაც შეივსო და გამდიდრდა. ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტურ წიგნში „ყვავის დამა“ — ავტობიოგრაფიული მონათხრობი, გამოხატა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მხატვრის თვისებები: სხარტი აზროვნება, გულწრფელობა და უკომპრომისობა, ექსცენტრული პიროვნების მიერ გარესამყაროს ხედვის თავისებურება — ტანჯვისა და გამძლეობის, თანადგომისა და ღალატის, თაღლითობისა და დანდობის დუალისტური სურათები...“**



სიძველეებისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის უზადო გამოხატვა გახდა ვლადიმერ კანდელაკის მიერ სამშობლოში, შემდგომ კი მთელ კავკასიაში არაერთი მოგზაურობის შედეგად შეგროვილი სხვადასხვა სიძველეთა, მათ შორის ხატების, სამუსიკო საკრავების, ყანწების, ოჯახური ფოტოების, დურბინდების, ძველებური საყვირების, უნაგირების, აკვნების უნიკალური კოლექცია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია იარაღის — ხანჯლების, ხმლების, თოფებისა და დამბაჩების ნაკრები.

ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ყველაფერზე ერთიანად თხრობა, ადგილის სიმცირის გამო, ძნელია, ამიტომ ვეცდები, ძირითადი გამოვყო, რომელიც, უდავოდ, იარაღის სრულიად უნიკალური კოლექციაა. კავკასიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვლადიმერ კანდელაკის მიერ შეგროვილი სხვადასხვა ქვეყნისა და კავკასიის ყველა კუთხის იარაღის კოლექცია,

გალიაში

ავტორიტეტულ ისტორიკოსთა, მეცნიერთა და შემოქმედთა საერთო აზრით, საქართველოს სახელმწიფო-ისტორიული მუზეუმის კოლექციაზე უფრო მრავალფეროვანი და მდიდრულია. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ თუ მუზეუმის კოლექციის შექმნაზე მრავალი მკვლევარი არაერთი საგანგებო ექსპედიციის დროს მუშაობდა, ვლადიმერ კანდელაკმა ამ განძს, რომლის დარი მოსკოვის „ორუჟეინაია პალატაშიც“ არ არის(!), მარტოკამ მოუყარა თავი, თანაც საამისოდ საკუთარი სახსრები გაიღო, მერე კი ფასდაუდებელი სიმდიდრე საყვარელ დედაქალაქსა და მის მოქალაქეებს უბოძა. სიტყვას მოყვა და ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ წლების წინ ვლადიმერ კანდელაკს კუს ტბის მიდამოებში მუზეუმის აშენების იდეა ჰქონდა, სადაც ერთად თავმოყრილი იქნებოდა მის მიერ შეგროვილი ყველა რელიკვია, ჩაფიქრებული იყო საყდრის აგებაც, რა მიზნითაც შეიქმნა მისი სახელობის სპეციალური ფონდი „ქართული კულტურის აღორძინება“, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მის მიერ გამოგზავნილი თითქმის მილიონი დოლარი უკვალოდ გააქრეს, უფრო სწორად კი მავანმა საკუთარ ჯიბეში მიუჩინა ადგილი. მეტიც: საქმე იქამდეა მისული, რომ მშობლიურ ქალაქში მხატვარს არა თუ სახელოსნო, საკუთარი ბინაც არა აქვს... მართალია, სამართლიანობის აღსადგენად მხატვარი დღესდღეობითაც იბრძვის, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ამიტომაც, იმედია, სამართალი ბოლოს მაინც ჭამს პურს.

„ჩემი ენა ჩემი მხატვრობაა“, – უთქვამს ერთხელ ვლადიმერ კანდელაკს ფილადელფიაში ერთ-ერთ თავის გამოფენაზე ვიღაც უცნობი კეთილმოსურნისთვის, მართლაც ასე იყო, რადგან სწორედ კაცობრიობის ამ უნივერსალური ენის – მხატვრობის მადლით შეძლო ვლადიმერ კანდელაკმა სამშობლოდან შორს, ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის გატანა, თუმცა კი, უამრავი გასაჭირის გამოვლა მოუხდა. იქ რომ მიდიოდა, კონტრაქტით, ცხადია, ნორმალურ პირობებში ცხოვრების იმედი ჰქონდა, თუმცა რეალობა სულ სხვა – შიმშილიანი და დაუნდობელი გამოდგა. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ყვავის დამა“ იგი წერს, რომ ხშირად მშიერს უწევდა მუშაობა, ერთ-ერთი ნახატი – „გზა ტაძრისკენ“, სწორედ ცხრა დღის ნაშიმშილარმა დაასრულა... მერე, როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა, მისმა ნამუშევარებმა თანდათან გზა გაიკვლიეს, მისი შემოქმედებით კოლექციონერები დაინტერესდნენ. **„ჩემი „ფარშევანგი გაშლილი კუდით“ შეიძინეს, ამ სურათში აღებული ფულით ორი წელი ვიცხოვრეთ“,** – იტყვის შემდეგ მხატვარი.

ვ. კანდელაკის შემოქმედების დამფასებელთა შორის იყო ნონკომისტური ხელოვნების ლეგენდარული კოლექციონერი ნორტონ დოჯი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მხატვრის ცხოვრების ამერიკულ პერიოდში, რომელიც 23 წელს გაგრძელდა. ამჟამად მისი ნამუშევრები ამ ქვეყანაში ნიუ-იორკის, ვაშინგტონისა და ფილადელფიის პრესტიჟული მუზეუმების ექსპოზიციებს ამშვენებს.



სამშობლოში დაბრუნების ბიძგი კი, თავად ვლადიმერ კანდელაკის თქმით, მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მისცა: მას შემდეგ, რაც, სამების საკათედრო ტაძარში მისი ნამუშევრები ნახა, უწმინდესს უბრძანებია – გენიალური მხატვარია, რომელსაც სამყაროს თავისებური და გასაოცარი ხედვა აქვს... იგი საქართველოს სჭირდებაო...

– პატრიარქმა რომ მითხრა – ჩამოდი და შენი ნახატებიც ჩამოიტანეო, ვაშინგტონში, ფილადელფიაში, ნიუ-იორკში, მოკლედ, სადაც კი იყო ჩემი ნამუშევრები, შევკრიბე და წამოვედი... – ამბობს მხატვარი. – ძალიან კი გამიძნელდა, ხუთი უშვეელებელი ყუთი იყო, 2,5 ტონას იწონიდა, დიდი ნახატები იყო, დაშლა არ გამოდიოდა...

სამშობლოში რომ დავბრუნდი, ვიფიქრე, ნამუშევრებს რა ვუყო-მეთქი, სად შევინახო? – ჩემთან შეინახეო, – მითხრა პატრიარქმა... ახლა ჩემი ძირითადი ნამუშევრები იქ არის და მშვიდად ვარ... უწმინდესიც ხომ ხატავს. უნდა გენახათ, როგორ ეფერებოდა ჩემ „ფარშევანგს“, ტექნიკამაც დააინტერესა, ხელით ეხებოდა – ცოცხალივითაა, როგორ გააკეთეო? – იგონებს მხატვარი.

ასეთია, მოკლედ, ვლადიმერ კანდელაკის, უნიჭიერესი ქართველი მხატვრის ცხოვრების ზოგიერთი პერიპეტია და დღევანდელი მდგომარეობა. ისევე, როგორც არაერთი ჩვენი გამორჩეული თანამემამულე, ლუკმა-პურის საშოვნელად და საქმის საკეთებლად უცხოეთში გადაიხვეწა, იქიდან, უკვე საქვეყნო სახელის მქონეს კი შინ ისევ უსინდისო ხალხი დახვდა, ფონდიც გაუპარტახეს, ნაქირავები სახელოსნოც გაუტეხეს, ნამუშევრებიც მოჰპარეს და იარაღის კოლექციის ნაწილიც გაიტანეს, სამართალს კი კაცმა ვერა და ვერ მიაგნო.

ერთი დედა-ეკლესია და მისი უწმინდესობა გამოდგა სამშობლოში მობრუნებული მხატვრის გულში ჩამხუტებელი, მანუგეშებელი და შემფარებელი.

ჩვენ, ჩვენ როგორღა მოვიქცევით, ბატონებო?

ოთარ ტურაგელიძე.



რედაქციისგან:

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მხატვართა კავშირმა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, ცნობილი ფერმწერი, გრაფიკოსი და კოლექციონერი ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკი შოთა რუსთაველის პრემიაზე წარადგინა.

შუამდგომლობა-რეკომენდაციაში, ვ. კანდელაკის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ზოგად ჩამონათვალთან ერთად, ასევე ქრონოლოგიურად მითითებულია როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში გამართული მრავალი სამხატვრო გამოფენის დრო და ადგილი, რომლებშიც, 1965 წლიდან მოყოლებული დღემდე მხატვარს დიდი წარმატებით აქვს მონაწილეობა მიღებული.

„სადაც არ უნდა ეცხოვრა მხატვარ ვ. კანდელაკს, იგი ყოველთვის ზრუნავდა ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის, მისი გადარჩენისა და აღორძინებისათვის. თბილისში მან დააარსა თავისივე სახელობის ფონდი, მიუხედავად მცირე დროით არსებობისა ფონდმა გამოსცა ბ-ნ ვ. კანდელაკის პედაგოგის ბ-ნ სერგო ქობულაძის ნაშრომი „ოქროს კვეთა“, კრებული ქართული კულტურის შესახებ ინგლისურ ენაზე და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საიუბილეო ისტორიული ალბომი თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ათი საუკეთესო სტუდენტი იყო ვ. კანდელაკის სახელობის სტიპენდიანტი. ბ-ნი ვ. კანდელაკი ცნობილია როგორც უდიდესი კოლექციონერი. მისი იდეა თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე აეგო სპეციალური შენობა, სადაც განთავსდებოდა მხატვრის მიერ ათეული წლების მანძილზე რუდუნებით ნაგროვები კოლექცია – კავკასიის ხალხთა იარაღი, სამუსიკო ინსტრუმენტები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა – აუხდენელია; უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა?კურთხევით აღნიშნული კოლექცია, მხატვრის ნამუშევრები დაცულია საპატრიარქოში“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მხარს უჭერს საქართველოს მხატვართა კავშირს და თავის მხრივ რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად წარადგენს გამოჩენილ ქართველ მხატვარს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს, ცნობილ ფერმწერს, გრაფიკოსსა და კოლექციონერს ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკს და იმედოვნებს, რომ ამ უდიდესი ეროვნული ჯილდოს ლურეატების ვინაობის დადგენისას, შოთა რუსთაველის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტი ორივე შუამდგომლობას გაითვალისწინებს.

◎ გაბრაზებული მოქალაქის ტრიბუნა

დრო, შეისმინოთ ხალხის ხმა!..

მოგმართავთ კიდევ ერთხელ და ვინ იცის თუ ვიცოცხლე...

2002 წელს ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე უნდა მიმეღო (დამბრუნებოდა) სესხი, რომელიც მე მივეცი ჩემს ხელისუფლებას. ყაჩაღმა სააკაშვილმაც კი ვერ გაბედა, რომ ნაწილი მაინც არ დაებრუნებინა ეს თანხმები კრედიტორებისათვის. მაგრამ გააჩნია ვის, მხოლოდ თავის ფავორიტებს და მხარდამჭერებს. ამის შემდეგ იმ იმედით, რომ ეგონა მუდმივად ის იქნებოდა ხელისუფლებაში, გამოსცა კრიმინალური დადგენილება სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე, ხსენებული ვალის მომავალში დაფარვის მექანიზმის შემუშავებისათვის. სინამდვილეში ეს იყო როგორც უკვე აღვნიშნე კრიმინალური დადგენილება (ბრძანებულება). ჯერ ერთი, რომ ეს კომისია ბუნებაში არ არსებობს, დიახ, არ არსებობს თუნდაც ერთი ოქმი მისი არსებობის დამადასტურებელი. ასევე ათეული წლებია, მისი უფლებამოსილების გადავადება თავისთავად კრიმინალური დანაშაულია. ნუთუ გგონიათ, რომ თქვენ მაინც იქნებით მუდმივად, არა ბატონებო, შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომ ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, იმის ადეკვატურად, თუ რას წარმოადგენენ და რას აკეთებენ ხალხის გულისთვის. გაგიგიათ 2002 წელს საკრედიტო ვალდებულება გადაიდოს 2030 წლამდე? ეს არის ტვინის ამხდელი დანაშაული, როცა ხელისუფლება მთლიანად მთელი შემადგენლობით აუპატიურებს კონსტიტუციას, სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებას. ასე იყო გირგვლიანის მიმართ, მაგრამ რა, ვერ დადგა საპირისპირო ვერდიქტი? მე დღესაც კითხვას ვსვამ, რატომ ხდება, რომ ამ გონიერ ერს უკვე კარგა ხანი მართავდა „ჟულიკების“ ბანდა, რომელსაც საკუთარი ჯიბის გარდა ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლება სხვასაც ჰქონდეს ჯიბე და ადამიანური მოთხოვნილებები. იმ ფონზე, რომ მეტწილ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებს მხოლოდ ცხოველური მოთხოვნილებები ამოძრავებდათ. და ამ ბანდაში, სამწუხაროდ, გარეულნი იყვნენ შინაგანად პატიოსანი და სრულიად განათლებული ადამიანები.

მე მრავალჯერ მივმართე ჩემი უფლებების პირველ დამცველ სუბიექტს, ამჟამინდელ ქვეყნის პრეზიდენტს, ჩემთვის მაინც პატივსაცემ ბატონ გიორგი მარგველაშილს, მაგრამ პასუხიც კი არ მიმიღია არცერთხელ. თუ ეს იმის ბრალია, რომ მანამდე არ მიდის მოქალაქეთა განცხადებები, ეს სულაც არ ამართლებს ბატონ პრეზიდენტს. ნებისმიერი საერთაშორისო ტრიბუნიდან ლამის საქართველო ერთადერთი ედემის ბაღია დედამიწაზე, სინამდვილეში ნახეთ ერთი, რა ხდება ქვეყანაში — სრული განუკითხაობა და ხალხის სრული გაუბედურება. ქუჩაში გამოკრულია განცხადებები — ნუ ამოიღებთ ნაგავს ნაგვის ყუთიდან — რა შეფასება შეიძლება მიეცეს ამ მოვლენას.

ჩინოვნიკებო, ნუთუ კონსტიტუციის სულ რამდენიმე მუხლი მაინც არ წაგიკითხავთ? მაშინ გეტყვით, წაიკითხეთ მუხლი 21, სადაც სრულყოფილად არის მოცემული თქვენი ვალდებულებანი და მუხლი 42, სადაც ლაპარაკია ამ 21 მუხლის შეუსრულებლობისათვის ჩინოვნიკების პასუხისმგებლობაზე. ნუთუ არ წაგიკითხავთ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები. მაგალითად, მუხლები 332, 333, 341, 180, 182, სანამ ჩინოვნიკები ხართ, პასუხს აგებთ კონსტიტუციის ამ პუნქტების გაუპატიურებისათვის.

როგორ აყელყელავებთ სააკაშვილის ნოტარიუსს დავით ბაქრაძეს ამ ერთ-ერთ ყველაზე უპატიოსნო მძიმე დამნაშავეს, რომლის ოჯახმაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ათეული ათასობით ლარი დახარჯა საკუთარი კერძო საუბრებისთვის მობილურზე. მერე ბაქრაძემ ჩაიდინა უდიდესი ღალატი ქვეყნის წინაშე, უდიდესი ზარალის მომტანი, როცა მისი ბრძანებით დაინგრა პარლამენტის შენობა და ბოლოს, ჰოლანდიაში აღმოჩენილ ბაქრაძის მიერ გადამალული 750 ათასი ევრო. ნუთუ ეს არ არის ცოტათი მაინც მეტი დანაშაული, ვიდრე 1 ძეხვის მომპარავი ქურდის დანაშაული?

როგორ არ გრცხვენიათ, თუნდაც იმისთვის, რომ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე და უმაღლესი უფლებამოსილებით დატვირთულნი ებრძვით მოხუც, 84 წლის ავადმყოფ კაცს, რომელსაც მარტო სამუშაო სტაჟი ბევრი თქვენგანის ასაკს სჭარბობს. არადა, სულ ცოტა სამ საქმეში ვარ გაძარცულ-დაყაჩაღებული, სცადეთ ერთი, იქნებ რომელიმე მათგანში მომინახოთ მცირედი ხარვეზი მაინც, რომ მე თვითონ ვიტყვი უარს ყველა იმ მოთხოვნაზე და განსაკუთრებით სახელისუფლებო საკრედიტო ვალდებულებაზე, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ ჩემს მიმართ.

დროა, შეისმინოთ ჩემი და ჩემისთანების ხმა, თქვენი უმოქმედობა თანდათან დანაშაულის სახეს იძენს!

ქართლოს ზაქარეიშვილი,
84 წლის I ჯგ. ინვალიდი,
უსინათლო და სმენაჩლუნგი მოქალაქე.

◎ საზოგადოება

ფინეთში, ჩვენგან განსხვავებით...

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2016 წლის ნოემბრისთვის, ფინეთის სოციალური დაზღვევის უწყებას გადაწყვეტილი აქვს პროგრამის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში მცხოვრები ყოველი მოქალაქისთვის 800 ევროს მიცემის საშუალებას მისცემს.

„უეჭველი შემოსავლის“ იდეას ფინეთში დიდი ხანია, განიხილავენ, მაგრამ ამჟამად პირველად განაცხადეს მისი რეალიზაციის განზრახვაზე, თუმცა კი ამის გაკეთებას გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ აპირებენ. სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს თითოეულ მოქალაქეზე, შეღავათებსა და სუბსიდიებზე ნაწილობრივ უარის თქმის შემდეგ, თვეში ჯერ 550, მერე კი, მათზე სრულად უარის შემდგომ, 800 ევრო გასცეს.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: საიდან აქვს ფინეთის ხაზინას ამდენი თავისუფალი ფული? ამის პასუხად ფინელები აცხადებენ: **სოციალური დახმარების სისტემის გამარტივება და მისი გამანაწილებელი ბიუროკრატიული აპარატის შემცირება(!) დიდ ეკონომიას მოიტანს.**

ნეტავ, თუ გაიგებენ ამ ამბავს ფინანსთა სამინისტროსა და თბილისის მერიაში?

გვესმის, რომ ეს წმინდა წყლის რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ **ჩვენში პენსიებსა და შემწეობებზე პასუხისმგებელ ჩინოსანთა, გაჭირვებულთათვის „სიღარიბის ქულათა“ მიმნიჭებელთა ოდენობა, მათი ხელფასები და დანამატები წლიდან წლამდე იზრდება, გათვლა-გაანგარიშების სქემები კი სულ უფრო მეტად რთულდება და მრავალსაფეხურიანი ხდება. აბა, ვინმეს თუ მოსვლია აზრად დაეთვალა, თუ რამდენი დრო ეხარჯება თითოეულ საკმაოდ მაღალანაზღაურებად სოციინსპექტორს უაღრესად გაჭირვებული, უსახლკარო მარტოხელა მრავალშვილიან დედაზე ყოველთვიურად გასაცემი თეთრების ოდენობის დადგენაზე?**

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამო ფინეთს ამ სოციალური პროგრამის ამოქმედება შეუძლია: **ქვეყანაში პროგრესული საგადასახადო სისტემა მოქმედებს — სახელმწიფოს შემოსავლის 8-დან 39 პროცენტამდე მიაქვს. რაც უფრო დიდი ხელფასი აქვს კაცს, მით უფრო მეტს რიცხავს იგი ხაზინაში.**

წელიწადში 10 ათას ევრომდე შემოსავლის მქონეთაგან საშემოსავლო გადასახადს სახელმწიფო საერთოდ არ იღებს(!!).

ამ გზით აკრეფილი გადასახადები კი სოციალური დახმარების სისტემის, რომ იტყვიან, „დონეზე“ შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

ამის შესახებ მაინც თუ სმენიათ ჩვენს ჩინოსნებს, რომლებიც, თურმე, არა მარტო მაღალ ხელფასებს, არამედ იმაზე მეტ დანამატებს იღებენ და რას იტყვიან ამის თაობაზე ქვეყნის პარლამენტარები, ვისაც საკანონმდებლო ცვლილებების უფლება აქვთ? რატომ შეუძლიათ ფინეთში ხალხზე ზრუნვა, ჩვენში კი არა? რატომაა, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს საარსებო, ვიმეორებთ: **საარსებო!** მინიმუმითაც არ უზრუნველყოფს, რომელიც, მით უმეტეს გაგანია კრიზისის პირობებში, გადარჩენის ერთადერთი „მაშველი რგოლია“? ხომ ფაქტია, რომ **საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს(!) ყოველთვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლები აქვს!**

როდემდე უნდა იყოს ხელისუფლების უწინარესი საზრუნავი მაინცდამაინც თავისი მომსახურე ბიუროკრატიული აპარატის უდარდელი, მაძღარი ცხოვრების უზრუნველყოფა, ხოლო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამ ზრუნვის შემყურე?

ნინო ალექსანდრია.

დედამიწის ზურგზე

ინტერპოლმა გამოაცხადა ძებნა ისლამური სახელმწიფოს ჯალათზე, რუსეთელ ზემლიანკაზე

ინტერპოლის გვერდზე გამოქვეყნდა ფოტოგრაფია და ნიშნულები 28 წლის ეჭვმიტანილზე, აგრეთვე აქ ნათქვამია, რომ იგი არის ნოიაბრსკიდან (ტიუმერის ოლქი). ცნობაში დაზუსტებულია, რომ ზემლიანკას ბრალი ედება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობაში. მასზე გამოცხადებულია ძებნა რუსეთის მოთხოვნით.

ჩინეთის აეროპორტში მეხანძრეებმა შეცდომით გამართული თვითმფრინავის ჩაქრობისას, 30 რეისი დააყოვნეს

ბოინგ-737-800-ის პილოტმა ატეხა განგაში და მიმართა საერთაშორისო აეროპორტ ფუჩჟოუს სადისპეტჩეროს, როდესაც დაინახა ნაპერწკლები გვერდით მდგარი თვითმფრინავის ძრავაში. მაგრამ მეხანძრეებმა გაიარეს მის გვერდით და ქაფი მოასხეს სხვა ლაინერს.

სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს არაბეთის კოალიციას იემენში სკოლების განზრახ დაბომბვის გამო

დაბომბვები ხდებოდა „საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონების დარღვევით“, ისინი ბავშვებს ართმევენ განათლების უფლებას, აღნიშნეს სამართალდამცველებმა, როდესაც ანალიზი გაუკეთეს სკოლებზე 5 ავიადარტყმას, რომელთა დროსაც სულ ცოტა 5 კაცი დაიღუპა.

ისლამურ სახელმწიფოს აქვს მოწყობილობა სირიის პასპორტების დაბეჭდვისათვის

ამერიკული დაზვერვის მოხსენების თანახმად, სირიაში უამრავი ყალბი დოკუმენტია. ყალბი პასპორტი შეიძლება შეიძინო არაბეთის რესპუბლიკაში 200-დან 400 დოლარამდე. ამდენივე ღირს საპასპორტო ბეჭდები, რომლითაც შეგიძლია დააფიქსირო ძველი თარიღი. თავად სირიელებს ასეთი დოკუმენტები არ მიაჩნიათ ყალბად მათი დიდად გავრცელების გამო.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის რესპუბლიკებმა დაიწყეს მოლაპარაკება მაღალ დონეზე ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის

პრესის მონაცემებით, განსახილველი პრობლემების რიცხვში შეიძლება შევიდეს ტურისტული კომპლექსის მუშაობის განახლება კიმგანსანში, სეულის მიერ ფხენიანთან დაკავშირებით დაწესებული სანქციების გაუქმება. რეგულარულ საფუძველზე ნათესავების შეხვედრების მოწყობა კორეის ომის დროს დაყოფილი ოჯახების წევრებისათვის.

აურზაური 380 წლის ბოტანიკური ბაღის გამო

იყო და არა იყო რა... ჩვენს დედაქალაქში იყო და არის ულამაზესი ბოტანიკური ბაღი, რომელსაც „ბოტანიკური“ საუკუნის წინათ დაერქვა, თორემ ამ სამ საუკუნეზე მეტია ამ კოხტა ხეობაში, ლელვთახევს რომ ეძახიან და რომელსაც ბებერი ნარიყალას ქონგურები გადმოყურებენ, სამეფო ბაღები იყო გაშენებული... თვით სალერნოს ბოტანიკური ბაღის მხილველი და ათას ქვეყანამოვლილი დიდი მოგზაური შარდენიც კი გაუკვირვებია ჩვენს ბაღს.

სწორედ ამ თბილისური ოაზისის დირექტორად დაინიშნა ერთი წლის წინათ (ზუსტად, რომ მოგახსენოთ 2014 წლის 24 ოქტომბერს) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების დეპარტამენტის ნებართვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ახალგაზრდა, ენერგიული, საქმეზე თავგადადებული ქალბატონი ნინო ბოცაძე. ეს ტიტულატურა და მისი ყოფილი სამსახური იმიტომ ჩამოგიწერეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ წარმოდგენა შეგექმნათ ქალბატონ ნინოზე, რომელიც ნეპოტიზმისა და ჰაი-ჰარად ვიღაცის ხუშტურებით კი არ დაუნიშნავთ, არამედ თავისი განათლებითა და ამ სფეროს სრულად ცოდნის, პროფესიონალიზმის გამო (ეს ზღაპარი არ გეგონოთ).

...რატომ კარგი აგიგია,

ანუ ზღაპარი, რომელიც ცუდად დამთავრდა

როდესაც ბოტანიკურ ბაღში დირექტორის რანგში მოღვაწეობის წლისთავზე ქალბატონი ნინო თანამშრომლების, ზემდგომი ორგანოებისა (საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია) და მისი ინიციატივით ჩამოყალიბებული „ბოტანიკური ბაღის მეგობრების“ წინაშე წარსდგა, თავი მართლაც ზღაპარში მეგონა, რადგან ერთ წელიწადში იმის შესრულება, რაც მან შეძლო თითქმის შეუძლებელია.

შეიქმნა ბოტანიკური ბაღის ვებ გვერდი (http://www.nbgg.ge) სადაც განთავსებულია ყველა ინფორმაცია ბოტანიკური ბაღის შესახებ. მკითხველს რომ თავი არ შევაწყინო, ყველა ის პოზიტივი, რაც შესრულდა, რომელსაც გაზეთის რამდენიმე გვერდიც ვერ დაიტევს, გირჩევთ სწორედ ვებ-გვერდზე იხილოთ.

მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. სწორედ ამ ერთ წელიწადში ქალბატონი ნინოს ინიციატივით ხელშეკრულება დაიდო იტალიურ ელექტრომობილების მწარმოებელ კომპანია „იტალქრის“ ოფიციალურ წარმომადგენლებთან კავკასიაში და ბაღის ლანდშაფტურ სპეციფიკასთან ადაპტირებით შეიძინეს ორი ელექტრომობილი. ბაღის სტუმრებს საშუალება მიეცათ ბაღის ნებისმიერ ღირსშესანიშნაობას ელექტრომობილით ეწვიონ. შეძენილი იქნა ველოსიპედები, რომლებითაც ვიზიტორები ისარგებლებენ.

განახლდა ვიზიტორთა სახლი თავისი მშვენიერი დარბაზით. სწორედ ვიზიტორთა სახლში მოეწყო ბაღის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მხატვრული ნამუშევრების გამოფენა. უმასპინძლეს ცნობილ მხატვარს ბუძა (ნუგზარ) ცხოვრებაშვილს, მისი ტილოები ერთი კვირის განმავლობაში ვიზიტორთა სახლში იყო გამოფენილი და უამრავ სტუმარს ჰქონდა მისი დათვალიერების საშუალება.

შესამჩნევად გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისადმი ხელშეწყობა. ბაღის საჭიროებისთვის შემოზიდეს ნაყოფიერი ნიადაგი, ტორფი, ნაკელი. ჩამოყალიბდა აგრონომთა ჯგუფი, შეიძინეს პოლიკარბონატი ბაღის ტერიტორიაზე არსებული ორანჟერეებისთვის. დაიწყო მუშაობა ფრანგული ორანჟერეის აღსადგენად. შეიძინეს დეკორატიული ბილიკების დასაგები მასალა, მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობისათვის მუშა-მოსამსახურეებს ჩაუტარდა ტრენინგები. შეიძინეს ინვენტარი.

მეტად საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი, გაფორმდა იუსტიციის სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან თანამშრომლობის ხელშეკრულება ქორწინების ხელმოწერის რიტუალთან დაკავშირებით. ახალდაქორწინებულებს, რომლებიც მრავლად აკითხავენ ბაღს, საშუალება ექნებათ ქორწინების ხელშეკრულება ახალ, ლამაზ ორანჟერეაში გააფორმონ.

მე-17 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე თბილისის ბოტანიკური ბაღი თავისი სტენდით წარსდგა. საერთაშორისო ფესტივალი ვახსენეთ და უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღი წლეულს ოქტომბრის თვეში მასპინძლობდა საერთაშორისო ფორუმს „მწვანე დღეები თბილისში“. მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები საქართველოს ლანდშაფტის არქიტექტორთა ასოციაციისა და ბოტანიკური ბაღის ინიციატივით სტუმრობდნენ. ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციამ საკადრისი დახვედრა მოუწყო სტუმრებს, რომლებმაც დიდი შეფასება მისცეს მასპინძლების პროფესიონალიზმს. ამის დასტური გახლდათ საფრანგეთის ისტორიული ბაღებისა და პარკების ფონდის ვიცე-პრეზიდენტის, პრინცესა **მარი სოლ დე ლატურ დ' ოვერნის** სამადლობელი წერილიც და გამოხმაურება ამ ფორუმის მიმართ. ფრანგი პრინცესა თბილისში თავად ხელმძღვანელობდა ცნობილ უცხოელ სპეციალისტებს.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, სასიხარულოა და აღსანიშნავია ბოტანიკური ბაღის თანამშრომლის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ **როზა ბიძინაშვილის** ინიციატივა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ლეგენდარული კოლხი მედეასა და მისი მამიდის, პელიოსის ასული გრძნეული ჰეკატეს სამკურნალო მცენარეების ბაღის მოწყობა. ეს მართლაც მსოფლიოში უნიკალური პროექტი იქნება.

ქალბატონ ნინოს ინიციატივა იყო მედიასთან ურთიერთობის ცენტრის შექმნა. სწორედ ამ სასიამოვნო და მეტად საჭირო ინიციატივის წყალობით მაქვს მე ეს უამრავი ინფორმაცია და თავადაც გახლავართ ყველა ღონისძიების მონაწილე პრესისა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად. სწორედ ამგვარ ერთერთ შეხვედრაზე წამოვიდა ქალბატონ ნინოსგან ინიციატივა, შექმნილიყო **„ბოტანიკური ბაღის მეგობართა“** საზოგადოება, რომელსაც ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ცნობილი მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები, არქიტექტორები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, უბრალო მოქალაქეები გავერთიანდით, რათა ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ უნიკალური კერის, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის აღორძინებისა და მისი ახალგაზრდა, ენერგიული ხელმძღვანელის ინიციატივების ხელშესაწყობად.

როგორც ყველა ზღაპარი კარგად მთავრდება, სწორედ ამგვარი ნოტით მსურდა ეს სინამდვილე დამემთავრებინა, რომელიც რატომღაც მავანთა მოწადინებით ლამაზ ზღაპრად დარჩა და ცუდად დამთავრდა. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით სრულიად მოულოდნელად, ერთ დღეში, ყოველგარი დასაბუთების გარეშე, ქალბატონი ნინო სამსახურიდან გაათავისუფლეს. რატომ?.. ალბათ, იმ პრინციპით, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება – „რატომ კარგი აგიგიას“... მოტივაციით!

იქნებ თავად ქალბატონმა ნინომ გვიპასუხოს და მართლაც საქმის კურსში ჩააყენოს არამარტო „ბოტანიკური ბაღის მეგობრები“, არამედ დედაქალაქის მოსახლეობაც, რომლებსაც ბოლო დროს გულით მოუხაროდათ წალკოტად ქცეული ბაღისკენ.

– ქალბატონო ნინო, თქვენთვის მერიის გადაწყვეტილება განთავისუფლების შესახებ მოულოდნელი იყო...

– არა მარტო მოულოდნელი, არამედ დამამცირებელიცა და არაკანონიერიც. 30 ნოემბერს დამიბარეს მერიაში, გამომიცხადეს, რომ ეროვნული ბოტანიკური ბაღის, დენდროლოგიური პარკისა და ვერეს ხეობის გაერთიანების გადაწყვეტილებაა მიღებული. ეს საკითხი 2 დეკემბერს გადის ქალაქის მთავრობის სხდომაზეო. ითქვა ისიც, რომ რადგან დენდროლოგიურ პარკსა და ვერის ხეობაში არ არსებობს ინფრასტრუქტურა, იურიდიულად იოლი იქნება დროებით მათი მიერთება ბოტანიკურ ბაღთან და აქედან მართვა. საბოლოოდ, მოეწყობა ტურისტულ-სარეკრეაციო ზონები, ხოლო ბაღს შეუნარჩუნდება თავისი სტატუსი. ყოველივე ამის განსახორციელებლად, ამ სამი ობიექტის სწორად წარმართვას დასჭირდება ახალი ხელმძღვანელი.

– რაზეც თქვენ წინააღმდეგი იყავით?

– წინააღმდეგი ვიყავი მხოლოდ იმის გამო, რომ ყოვლად მიუღებელია ბოტანიკური ბაღის მიერთება სხვა რაიმე სტრუქტურასთან თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, ეროვნული ბოტანიკური ბაღი არამარტო დასასვენებელი ცენტრი, არამედ კვლევითი ცენტრიცაა, აქ ხდება უნიკალური მცენარეების შესწავლა, გამრავლება, მოვლა, კვლევითი სამუშაოები, წითელ წიგნში შეყვანილი მცენარეების გადარჩენის, გამოყვანისა და სხვადასხვა რეგიონებში ადაპტაციის შესწავლა, ეს ერთი ცოცხალი ორგანიზმია და აქ სხვა სტრუქტურასთან მიერთება აუცილებლად გამოიწვევდა მის განადგურებას. დამპირდნენ, რომ გარანტად დამიდგებოდნენ და არც მე და მით უმეტეს ბაღს, რომლის განახლებისა და აღდგენის საქმეს ამხელა ენერგია შევწირე, არაფერი დაგვემუქრებოდა, მაგრამ მეორე დღესვე საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს.

– ქალბატონო ნინო, ახალ დირექტორთან თუ ისაუბრეთ ამის შესახებ...

– ბატონი თამაზ დარჩიძე ბათუმის ბოტანიკური ბაღის ახლა უკვე ყოფილი დირექტორი და ჩემი კარგი ნაცნობია. იგი ენერგიული ახალგაზრდაა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ისტორიკოსია და იმ სპეციფიკაში არავითარი გამოცდილება არა აქვს, რაც ბოტანიკური ბაღის პროფილს შეეხება, მაგრამ მე მაინც დამშვიდებული ვიყავი, რადგან მას ჰქონდა ოთხწლიანი გამოცდილება ბოტანიკურ ბაღში მუშაობისა და წესით ჩვენს ერთად თანამშრომლობას არავითარი წინააღმდეგობა და გართულებები არ უნდა მოჰყოლოდა. სწორედ ამიტომაც დავთანხმდი ამ წინადადებას, რომ მე მას, როგორც დირექტორს დავეხმარებოდი სამეცნიერო საქმიანობის წარმართვაში, ხოლო იგი მენეჯმენტსა და სტრუქტურის განვითარებას უხელმძღვანელებდა, მაგრამ მიიღეს მეტად გაუგებარი, ჩემს მიმართ დამამცირებელი და არაკანონიერი გადაწყვეტილება, მე მომთხოვეს თანამდებობის დატოვება, რადგან იმ გეგმებში, რომელიც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, ხელს შევუშლიდი. ამის შემდეგ დაცვის სამსახურს აუკრძალეს იმ ბაღში შესვლა. თქვენც კარგად გახსოვთ და თქვენს კოლეგებსაც, როდესაც საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ჩვენს ბოტანიკურ ბაღში თვენახევრის წინათ ჩატარდა, ევროპის წამყანმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს საქმიანობას, სწორედ ამ წარმომადგენლობით შეხვედრას დაესწრო ქალაქის მერი ბატონი დავით ნარმანია და თავისი მოწონებაც გამოხატა, ახლა კი... აღმოჩნდა, რომ ბატონი თამაზი არა მომავალში შესაქმნელი სტრუქტურის ხელმძღვანელად მოიწვიეს, არამედ დანიშნეს ბოტანიკური ბაღის დირექტორად!

– თქვენი აზრით, რა საშიშროების წინაშე დგება, ქალბატონო ნინო, ეროვნული ბოტანიკური ბაღი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძველი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა?

– ბაღში ხორციელდება მიშვნელოვანი პროექტები, ენდემური მარცვლოვანი, პარკოსანი და საზეთე-ბოჭკოვანი კულტურების აღდგენა, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოხდა. ამ პროექტს ვხელმძღვანელობდი პირადად მე. ერთადერთი სტრუქტურა, რომელთანაც შეიძლება ამგვარი სპეციფიკური დანიშნულების ბაღის მიერთება, გახლავთ მეცნიერებათა აკადემია, ანდა შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტი. ბატონ თამაზს, მისი წარდგინებისას ახლდა მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილე, ნუგზარ კახნიაური, რომელიც ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ გვეწვია ბაღში და სხვა სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად თავისი „საკვირველი გეგმები“ გაგვაცნო, რომელსაც ვეწინააღმდეგებოდი და ყოველთვის შევეწინააღმდეგები. სწორედ ამ გეგმების აღსრულებისთვის შექმნეს ეს სტრუქტურა და მის განსახორციელებლად მოიწვიეს ბატონი თამაზი, რომელმაც, ალბათ, არ იცის რა ვანდალური ჩანაფიქრი უნდა შეასრულებინონ!

– კი მაგრამ, რა გეგმები აქვს კახნიაურს?

– საკოლექციო ნაკვეთებზე უნდა მოიშალოს ღობეები, „ტრივიალურ“ ხეებზე მოეწყოს ჰამაკები, ფარშევანგები, ხოხბები და შვლის ნუკრები ბაღში გაიშვას. მისი აზრით, ეს უამრავ ტურისტს მოიზიდავს და ტურისტების მოზიდვა თანხის მოზიდვასაც განაპირობებს. მაგრამ კახნიაურმა არ იცის, რომ კავკასიის ენდემური, წითელი წიგნისა და წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეები, რომლებიც მისთვის „ბალახია“ და მეტი არაფერი, ჩვენთვის მომავალი თაობის გადასარჩენად კვლევისა და შენარჩუნების ობიექტებს წარმოადგენს. ნალოლიავები, მეცნიერთა მიერ წლობით გამოზრდილი და გადაშენებას გადარჩენილი უნიკალური სახეობები შვლებს უნდა შეეწიროს?! ამგვარ სამუშაოზე საზღვარგარეთ მილიონებს ხარჯავენ, ჩვენ მიზერული ხელფასითა და ენთუზიაზმით ვაკეთებდით საშვილიშვილო საქმეს. მაშინ ბატონი კახნიაური დასაბუთებული პასუხით გავისტუმრეთ. მოგეხსენებათ, რომ ბოტანიკური ბაღის გასანადგურებლად, ხელში ჩასაგდებად და დროის სატარებელ ადგილად გადაქცევის მცდელობა წინა ხელისუფლებასაც არაერთხელ ჰქონდა. 2006 წელს ბაღი ჩამოაცილეს მეცნიერებათა აკადემიას, გაერთიანეს ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტთან და შემდეგ გადასცეს ილიას უნივერსიტეტს, ნაციონალთა ბუდეს. 2011 წელს იგეგმებოდა ბაღის სრული ლიკვიდაცია. აქ სურდათ რესტორნების, კაზინოებისა და გასართობი ცენტრების მოწყობა. ამაზეც ავიმაღლეთ ხმა და მაშინ მივაღწიეთ იმას, რომ ბაღი გადასცემოდა მერიას თავის დაქვემდებარებაში. ილიას უნივერსიტეტის რიგითი თანამშრომელი ვიყავი და არ მაპატიეს, გიგი თევზაძემ სამსახურიდან დამითხოვა. ბოლოს მაინც სიმართლემ გაიმარჯვა და იმას, რასაც წინა მთავრობამ ვერ მიაღწია, მერიის ზოგიერთი ჩინოვნიკი ახორციელებს!

– ქალბატონო ნინო, თქვენ ბრძანეთ, რომ ბატონი თამაზი კარგი მენეჯერია, მაგრამ... ამ საქმისგან ძალიან შორს დგას.

– შეიძლება იყო კარგი მენეჯერი, მაგრამ ფულის მოზიდვის საბაბით იძულებით არ უნდა შეუწყო ხელი ბაღის მიზანმიმართულ განადგურებას, რომელიც ჩვენს მომავალ თაობებს ეკუთვნის. ბოტანიკურ ბაღს 380 წლის ისტორია აქვს. როგორც სპეციალისტი, მოგახსენებთ, რომ დენდროპარკი ჩემი ხელმძღვანელობით გაკეთდა, ვერეს ხეობას რაც შეეხება ყოველ მონაკვეთს ვიცნობ, რადგან ჩემი სადისერტაციო ნაშრომი ვერეს ხეობის მერქნიანი მცენარეების მიკობიოტაზე მაქვს დაცული, 2005 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ გარემოსა და ბუნებრივი რესურების დაცვის სამინისტროში დეპარტამენტის თანამშრომლად, 2014 წლიდან ბოტანიკური ბაღის დირექტორი ვარ. სამწუხაროდ, უკვე ვიყავი. ასე რომ, ჩემს არაკომპეტენტურობაში დადანაშაულება უსინდისობაა. ასე ხელაღებით ჩემი სამსახურიდან განთავისუფლება არაკანონიერად მიმაჩნია. ამასთან ერთად, თქვენი ნებართვით, მსურს ერთი განცხადება გავაკეთო: ***ჩემი თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა დაიწყეს ამ შემთხვევის გამოყენება! როგორც შევიტყვე, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ამ დღეებში ყოფილან ბოტანიკურ ბაღში და ვითომდა ჩემს დასაცავად, პოლიტიკური განცხადებები გაუკეთებიათ. მინდა განვაცხადო, სწორედ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს დამატოვებინეს ბოტანიკური ბაღი გიგი თევზაძის გადაწყვეტილებით, სამეცნიერო მიმართულების დაფინანსების შეწყვეტის საბაბით. შეგახსენებთ, რომ ამ დაფინანსებას ბატონი ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ვიღებდით. მოვითხოვ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების, სხვა პოლიტიკური ძალების და, მათ შორის, დედაქალაქის მერიის ჩინოვნიკებისგანაც, ნუ ცდილობთ სიტუაციის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი მთელი საქართველოს საკუთრებაა და არა გარკვეული პირების ინტერესების სფერო. ბოტანიკური ბაღის შენარჩუნება ეროვნული, პატრიოტული ინტერესია ჩემთვის და არა პოლიტიკური ქულების ჩაწერის თემა.***

მამუკა ვაშაკიძე

მიკერძოება რომ არ დაგვწამონ, უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ გულახდილ დიალოგს ბოტანიკური ბაღის ახალ დირექტორთან, ბატონ თამაზ დარჩიძესთან.

◎ მოვლენის წინ

თბილისი ძალოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატს ივნის-ივლისის მიჯნაზე უმასპინძლებს

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2016 წლის ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.

ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს დედაქალაქი ტურნირს 25 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში მიიღებს.

ამასთან, თბილისშივე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით სხვადასხვა აქტივობები სტარტს 21 ივნისიდან აიღებს და, მათ შორის, 24-ში ორგანიზაციის კონგრესიც ჩატარდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

დღეს ევრო 2016 დაჯგუფდება

დღეს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება და ევრო 2016-ის მონაწილე 24 ნაკრები ქვეჯგუფებში გადანაწილდება.

მოგეხსენებათ, დამდეგ ზაფხულს გასამართი კონტინენტის პირველობა ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება: ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ფინალურ ეტაპზე პირველად ითამაშებს 24 გუნდი, რომლებიც ექვს ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება.

უეფამ ნაკრებები უკვე დაახარისხა კალათების მიხედვით:

I კალათა: საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, ბელგია.

II კალათა: იტალია, რუსეთი, შვეიცარია, ავსტრია, ხორვატეთი, უკრაინა.

III კალათა: ჩეხეთი, შვედეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი.

IV კალათა: თურქეთი, ირლანდია, უელსი, ისლანდია, ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია.

წილისყრის ცერემონიაში მონაწილეობას ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ბიქსენტ ლიზარაზუ, რუუდ გულიტი, დავიდ ტრეზეგე, ანგელოს ხარისტეასი, ანტონინ პანენკა და ოლივერ ბირჰოფი მიიღებენ, ხოლო ევროპის თასს დარბაზში მოქმედი ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე შეიტანს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა დღეს თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება და მის ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი შემოგვთავაზებს.

კობა კობახიძე

◎ ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

თბილისის „დინამო". 1950 წელი (ასეთი ფოტოები კიოსკებში იყიდებოდა)

მოგვაწოდა ომარ შუდრამ.

◎ თანამემამულე

ფაჩულიას ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება: ზაზა — „ოლ სტარზე"!!!

საძართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს და „დალას მავერიქსის" ძირითად ცენტრს ზაზა ფაჩულიას ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის" მატჩში მონაწილეობის რეალური შანსი აქვს. ასეთ შემთხვევაში ზაზა პირველი ქართველი იქნება, ვინც ნბა-ს „ოლ სტარზე" ითამაშებს, რაც ყველა კალათბურთელის ოცნებაა.

ზაზას „ოლ სტარზე" მოხვედრა ეკუთვნის არა იმიტომ, რომ ქართველია, არამედ იმიტომ, რომ ფაჩულიამ ეს დაიმსახურა. მიმდინარე სეზონში ქართველმა ცენტრმა 13 ორმაგი დუბლი გააკეთა, რაც ნბა-ში მესამე შედეგია. ზაზას მიმდინარე საშუალო მონაგარი 10.7 ქულა, 10.3 მოხსნა და 2 პასია, რაც დიდებული შედეგია.

„ოლ სტარი" 2016 წლის 14 თებერვალს ტორონტოში „Air Canada Centre"-ის დარბაზში გაიმართება.

იმისთვის, რომ ფაჩულია „ოლ სტარზე" მოხვდეს, გულშემატკივრების აქტიურობაა საჭირო. მომდევნო 38 დღის განმავლობაში 24 საათში ერთხელ შევდივართ ამ ლინკზე http://vote.nba.com/confirm/ ვაჭერთ Create Account და ვრეგისტრირდებით. შემდეგ შევდივართ ხმის მიცემის ბმულზე:

http://vote.nba.com/?iref=asv16_nbadrd&cid=asv16_nbadrd##groupP და ხმას ვაძლევთ ზაზა ფაჩულიას.

შუალედური შედეგები 24 დეკემბერს, 7 იანვარს და 14 იანვარს გამოქვეყნდება.

ხმის მიცემა 19 იანვარს თბილისის დროით 08:59:59 საათზე დასრულდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ამბროზიო საახალწლო სიურპრიზს გვპირდება

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მუზად სახელდებული „ვიქტორია სიქრიტის" მომხიბვლელი მოდელი ალესანდრა ამბროზიო სულ მალე კარის შემომღები ახალი წლის დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადება და მის მილიონობით მოტრფიალეს გამორჩეულად გულისგანმგმირავ სიურპრიზს ჰპირდება.



ამბროზიო თავის გულშემატკივრებსა და მის სილამაზეზე დაფეთებულებს ურჩევს, რომ როდესაც 31 დეკემბრის ბოლო წუთები მიილევა და 2016 წელი ოფიციალურად დადგება, ყველამ მის „ფეისბუქის" გვერდს მიაკითხოს და იქ მათ ისეთი სიურპრიზი დახვდებათ, რაც არასოდეს დაავიწყდებათ.

ჩვენ აქედანვე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს ბრაზილიელი შხვართი ასული გაგანია ახალ წელს ივანე ბატონიშვილის „კალმასობის" კითხვას არ დაიწყებს. მაშ, რას იზამს? იმას იზამს, რაც აქამდეც უქნია — სამოსს შემოიძარცვავს და მტერსაც და მოყვარესაც დაატკბობს თავისი სილამაზით. ისე, ასეთი ქალის მტერი რატომ უნდა იყოს საღ გონებაზე მყოფი ადამიანი?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტრაგედია

მოკლეს ჰონდურასელი ფეხბურთელი

ჰონდურასის ეროვნული ნაკრების და ამავე ქვეყნის კლუბის „ოლიმპიას" 26 წლის ნახევარმცველი არნოლდ პერალტა ქალაქ ლა-სეიბაში მოკლეს. აღნიშნულ ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

წყაროს ცნობით, პერალტას მაშინ ესროლეს, როცა ფეხბურთელი ავტომანქანას აყენებდა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, მკვლელობის მოტივი გაქურდვა არ ყოფილა, რადგან ფეხბურთელის ყველა ნივთი ადგილზეა.

არნოლდ პერალტა 2013-15 წლებში შოტლანდიური „რეინჯერსის" ღირსებას იცავდა. ნახევარმცველი 2011 წლიდან ჰონდურასის ეროვნული ნაკრების წევრი იყო.

გიორგი ზოთაძე

◎ ნანატრი პრემიერა

ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში

19 და 22 დეკემბერს, 18 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში პრემიერაა — წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ოპერის დამდგმელ ჯგუფში ცნობილი ხელოვანები გაერთიანდნენ: დირიჟორი — რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი — თემურ არსენიძე, ქორეოგრაფები — ვახტანგ უშვერიძე და კოტე დოლაბერიძე. კოსტიუმების მხატვარია გიორგი ალექსი-მესხიშვილი.

წლების განმავლობაში, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სათანადო ფინანსური რესურსის უქონლობის გამო, ვერ ხერხდებოდა სპექტაკლების განახლება და პრემიერების ჩვენება. თეატრში პრემიერა ბოლოს 2011 წლის იანვარში გაიმართა (ლეონკავალოს „ჯამბაზები“). ამდენად, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თეატრი კვლავ იწვევს მსმენელებს საპრემიერო ჩვენებაზე, რაც თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ირინე ლომინაძის მმართველობის პერიოდში (ამ თანამდებობაზე დანიშნა 2015 წლის ივნისში) პირველი პრემიერა იქნება.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული სამუსიკო კლასიკის იმ შედევრების რიგს განეკუთვნება, რომლის რეპერტუარში ყოფნა აუცილებელია ქართული საოპერო თეატრებისთვის. ნაწარმოების არსებობის მანძილზე ოპერის დადგმის რამდენიმე ათეული ვერსიაა განხორციელებული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მით უფრო, რომ „აბესალომ და ეთერი“ შესანიშნავი საფუძველია, უშრეტი წყაროა მუსიკალური, სარეჟისორო, სცენოგრაფიული ხედვების ხორცშესხმისთვის. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბოლოს ამ სპექტაკლის პრემიერა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კერძოდ, 1989 წელს გაიმართა. შესაბამისად, აქტუალური და ძალიან საჭირო იყო ოპერის განახლებული დადგმა, მისი ახალი სცენური იერ-სახით წარმოდგენა.

— ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული საოპერო კლასიკაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს თეატრის რეპერტუარში, რათა მისი ნახვისა და მოსმენის საშუალება მიეცეს არა მარტო ქუთაისელ მსმენელს, არამედ ქალაქის უცხოელ სტუმრებსაც, თეატრის საგასტროლო გასვლის შემთხვევაში კი, საზღვარგარეთის აუდიტორიასაც. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ ქუთაისის საოპერო თეატრის, არამედ ქართული საკომპოზიტორო და საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, — ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე.

„აბესალომ და ეთერის“ პრემიერის გამართვა ვერ მოხერხდებოდა ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე: ამ მხრივ დიდად დაეხმარნენ თეატრს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქალაქ ქუთაისის მერია და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (რომელმაც ქუთაისის ოპერის თეატრს გადასცა გიორგი ალექსი-მესხიშვილის მიერ ჯანსუღ კახიძისა და მიხეილ თუმანიშვილისეული „აბესალომ და ეთერის“ დადგმისთვის 1986 წელს შექმნილი კოსტიუმები).

„აბესალომ და ეთერის“ პრემიერას წარმოადგენენ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები — გიორგი სტურუა, რამაზ კუბლაშვილი (აბესალომი), ფერიდე ჯინჯიხაძე, ნათია სტეფანიშვილი (ეთერი), კალე ხარჩილავა (აბიო მეფე), ნაირა კიკოლიაშვილი, სოფიო ბერიშვილი

(მარიხვარსკვლავი), ბაკურ კვირიკაშვილი, ლაშა თითბერიძე (მურმანი), ნათია სტეფანიშვილი, ფერიდე ჯინჯიხაძე (ნაანა), ბადრი სახამბერიძე, (თანდარუხი), რამაზ კუბლაშვილი, მიხეილ ქებაძე (სტუმარი), ემილ ჩარგაზია (სახლთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ნათია გოგუაძე), ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი, დედოფალ ნათელას როლს კი ორივე სპექტაკლში შეასრულებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი ნუცა ზაქაიძე.

ეწვიეთ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს და ისიამოვნეთ ქართული საოპერო კლასიკით.

ზურაბ ოიკაშვილი

◎ ინფორმაცია

ბავშვებს საკვებს უმალავდა?

პირველი ლოგოპედიური ბაგა-ბაღის დირექტორი ზაირა კურტანიძე სამსახურიდან 10 დეკემბერს, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანების №2/236 საფუძველზე გათავისუფლეს.

გათავისუფლების მიზეზი გახდა დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა. კერძოდ, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ საბავშვო ბაგა-ბაღის შემოწმებისას კვების ბლოკში აღმოჩნდა საკვების გადამალვის ფაქტი.

ეს იყო აღნიშნული ბაღის დირექტორის მიერ ვალდებულებების განმეორებითი დარღვევა. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, როდესაც პირის მიმართ ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (საყვედური), განმეორებით შემთხვევაში ხდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

პირველ ლოგოპედიურ ბაღში განმეორებითი შემოწმების საფუძველი გახდა, როგორც ბაღის თანამშრომლების, ისე მოქალაქეების მხრიდან სააგენტოს ცხელ ხაზზე არაერთხელ დაფიქსირებული ინფორმაცია ბაგა-ბაღში არსებული დარღვევების შესახებ.

საბავშვო ბაღების თანამშრომლები გაიფიცნენ

ქუთაისში გუშინ დილიდან საბავშვო ბაღებმა ბავშვები არ მიიღეს. ქალაქში 35 ბაღიდან, თითქმის, ყველა გაფიცულია. პროტესტის მიზეზი დაბალი ანაზღაურება და პერსონალის არასაკმარისი რაოდენობაა.

ბაღების თანამშრომლებმა ქალაქის მერიასთან გამაფრთხილებელი აქციაც გამართეს და მერს და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს შეხვდნენ, მაგრამ როგორც, თავად აცხადებენ, არასაკმარისი დაპირებები მიიღეს.

ბაღების თანამშრომლების თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ ტექნიკურ პერსონალს ხელფასის 24 ლარით გაზრდის პირობას იძლევა.

◎ სულიერება

წმიდა ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი და წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული

13 დეკემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ორ დიდ დღესასწაულს წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლის ხსენებას.

ცნობილია, რომ ანდრია მოციქული წარმოშობით გალილეიდან იყო. იქ მცხოვრები ხალხი — გულკეთილობითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა.

სახელი ანდრია ბერძნულია და ითარგმნება, როგორც „ვაჟკაცური, გამბედავი“.

როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება დაიწყო, ანდრია იოანე ზებედესთან ერთად იოანეს წინასწარმეტყველს გაჰყვა, და იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში ჰპოვებდა. იმავე ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად იორდანეზე მივიდა. როცა იოანე ნათლისმცემელმა უფალი იხილა, თავის მოწაფეებს მასზე მიუთითა და უთხრა: „აჰა ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“. ამის გამგონე ანდრია, იოანესთან ერთად იესოს გაჰყვა. ანდრია მოციქული თავის ძმასთან — სიმონ პეტრესთან წავიდა და უთხრა: „ვპოეთ მესია“, ასე შეუერთდა პეტრე ქრისტეს მოწაფეებს.

ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო...

მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ანდრია მოციქული სხვა მოწაფეებთან ერთად მასთან შეხვედრას ეღირსა და ზეთისხილის მთაზე იმყოფებოდა, როცა უფალმა ისინი აკურთხა და ზეცად ამაღლდა!

სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმინდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირეთის ქვეყნები, მათ შორის საქართველო. გადმოცემის მიხედვით, სწორედ ანდრია პირველწოდებული ითვლება საქართველოს განმანათლებლად, სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად.

საბერძნეთში დაბრუნებული ანდრია მოციქული ქადაგებისას ჯვარზე გააკრეს. ჯვარზე დაკიდული ანდრია მოწამებრივად აღესრულა ქრისტესშობიდან 62 წელს.

* * *

წმინდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი 15 წლის იყო, საქართველოს სამეფო ტახტზე **რომ ავიდა.**

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა, მან განდევნა საქართველოდან ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები.

ვახტანგ მეფემ აღასრულა წმინდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით რუსთავში ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი აშენდა, ხოლო სიონის საპატრიარქო ტაძარს მიუშენდა მისი სახელობის ეკვდერი.

გიული ლიპარტია

რეკლამა 293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

გივი აბზიანიძე, ანზორ ბურჯანაძე, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, გრიგოლ ონიანი, ჯემალ კუხალაშვილი, გიორგი ნაჭყებია, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ნოდარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან უფროსი მეგობრის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის

თამაზ ბესარიონის ძე ჯანელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დოდო, შვილი ვიქტორი, რძალი სოფიო ხაზარაძე, შვილიშვილი ლევანი, მძახლები ვიტალი, ფატი ხაზარაძეები, ცოლისდა ნუკრი, ძმისწულები, დისწულები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ვიქტორის ძე ყიფიანი

პანაშვიდი 13, 14 XII, 16 სთ. გამოსვენება 15 XII, 14 სთ. მისამართი: ქუთაისი, პაოლო იაშვილის ქუჩა №25.

დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ფატი, ვიტალი ხაზარაძეებს და მათი ოჯახის წევრებს მძახლის, ღირსეული პიროვნების

ლევან ვიქტორის ძე ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, გია გაბრიჭიძე, მამუკა ვაშაკიძე თანაუგრძნობენ ბატონ ვიტალი ხაზარაძეს მძახლის, უკეთილშობილესი პიროვნების, ღირსეული ქუთაისელის

ლევან ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

◎ ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა

ედუარდ შევარდნაძე (მარცხნივ) და თამაზ ჯანელიძე 1958 წ.

◎ სენსაცია

ქიმიოთერაპიაზე 100-ჯერ უფრო ეფექტური ხერხი

ის, რაც კიბოს უჯრედებს 48 საათში ანადგურებს

უახლესი კვლევების თანახმად, ბაბუაწვერას (Dandelion) ფესვების ნაყენს შეუძლია კიბოს შემთხვევაში ქიმიოთერაპიაზე ბევრად ეფექტურად და სწრაფად, სულ 48 საათში ადამიანი განკურნოს.

კანადაში ექსპერიმენტი იმაზე ჩატარდა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს მცენარე ადამიანის დაავადებულ ორგანიზმზე.

72 წლის მამაკაცმა, რომელიც 3 წელი ებრძოდა კიბოს, ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო. ის ყოველდღე იღებდა ბაბუაწვერას ფესვების ნაყენს და შედეგად 4 თვეში სრულიად გამოჯანმრთელდა.

ბაბუაწვერას ფესვებმა კიბოს უჯრედები გაანადგურა და ახლის წარმოქმნას ხელი შეუშალა. გასაოცარი შედეგი კი 48 საათში დაფიქსირდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გუნდმა, რომელიც ამ ექსპერიმენტზე მუშაობდა, უფრო საფუძვლიანად დაიწყო ამ მცენარის შემადგენლობის შესწავლა.

რეცეპტის მომზადების წესი:

2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვს უნდა დაასხათ ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მამი, მომეცი ოცი დოლარი და გეტყვი, ვინ წევს ღამით დედიკოსთან შენი არყოფნისას, — ეუბნება მამას ხუთი წლის მიხო.

— აბა, აიღე და მითხარი, ვინ წევს?

— მე.

* * *

— აბა, მითხარი, მზად ხარ სიკვდილისთვის, ნაძირალავ?

— მაპატიეთ, მაგრამ აქ სხვა ექიმი არ არის?

* * *

— კანონის სახელმწიფოში ქურდი, როგორც ცნობილია, ციხეში უნდა იჯდეს. რა მდგომარეობაა კანონიერ ქურდთან მიმართებაში?

— კანონიერი ქურდი — ეს ის ქურდია, რომელიც პარლამენტში ზის და სახელმწიფოსთვის კანონებს წერს.

* * *

ყ ვ ე ლ ა ნ ი ფეხბურთზე მსჯელობენ, მე კი ხმას არ ვიღებ, რადგან ფეხბურთი არასოდეს არ მაინტერესებდა. ამაში ჩვენი ნაკრების მოთამაშეებს ვგავარ.

* * *

რუსები, ფრანგები და ინგლისელები დანიძლავდნენ, ვინ უფრო მეტ ხანს შეძლებდა მაცივარში ჯდომას.

ინგლისელებმა აიღეს კარტი, ვისკი და შევიდნენ მაცივარში. ერთი დღის მეტი ვერ გაძლეს და გამოვიდნენ.

ფრანგებმა აიღეს ღვინო და წაიყოლიეს ქალები. ორი დღის შემდეგ ისინიც გამოვიდნენ.

რუსებმა წაიღეს არაყი და მისატანებელი. გავიდა ერთი კვირა, მიილია მეორეც. არ გამოდიან. ხომ არ გაიყინნენო, იფიქრეს და კაცი შეუშვეს მაცივარში ამბის გასაგებად. როგორც კი მან კარი გააღო, მაგარი მუშტი მოხვდა სიფათში, მაცივრის კარი კი ისევ მიიხურეს.

— პეტკა, რას ერჩოდი მაგ საწყალს? — ისმის რეფრეჟერატორიდან.

— როგორ თუ რას ვერჩოდი. აქ ისედაც ცივა და ეგ კიდევ კარს აღებს!

სკანვორდი



◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე